პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი | № 55 (10141) | კვირა, 6 მარტი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

## დ ღ ე ს  ნ ო მ ე რ შ ი :

ნ. ა. ბულგანინმა მიიღო შვეციის ელჩი როლფ რ. სულმანი (1-ლი გვერდი).
თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ (1-ლი გვერდი).
თბილისის მშრომელთა დეპუტატების (მეხუთე მოწვევის) საქალაქო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია (1-ლი და მე-2 გვერდი).
ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა (1-ლი გვერდი).
ა. ჯავახიშვილი. — პარტიის წევრობის კანდიდატები (მე-2 გვერდი).
ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები საქართველოში (მე-2 გვერდი).
უკანასკნელი ფოსტიდან (მე-2 გვერდი).
ფელეტონი. — გ. მარუაშვილი, გ. ხერხეულიძე. — „მონადირეები" (მე-3 გვერდი).
თეატრი. — ს. ავჩიანი. — „სხივოსანი დილა" — სოხუმის თეატრის ახალი დადგმა (მე-3 გვერდი).
პროფესორ ბრუნო პონტეკორვოს პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისათვის (მე-3 გვერდი).
უცხოეთის ინფორმაციები (მე-4 გვერდი).

# საბჭოთა პატრიოტიზმის მძლავრი დემონსტრაცია

მტკიცე და ურღვევია კომუნისტური პარტიის, საბჭოთა მთავრობისა და ხალხის ერთიანობა. სულ უფრო იზრდება ხალხის შრომითი და პოლიტიკური აქტივობა. საწარმოებში, ტრანსპორტზე, საკოლმეურნეო მინდვრებზე ადამიანთა თაოსნობისა და გმირული შრომის შესახებ განუწყვეტლივ მოდის ცნობები დიადი სოციალისტური სამშობლოს ყოველი კუთხიდან.

ჩვენი გაზეთის ფურცლებზე სისტემატურად ქვეყნდება ქართველი მეტალურგებისა და მეფოლადეების, მანქანათმშენებლებისა და მსუბუქი მრეწველობის მუშაკების, საკოლმეურნეო სოფლის მშრომელთა წარმატებების ფაქტები. კოლმეურნეებმა მთელი ძალით გააჩაღეს შრომა მეცხოველეობის აღმავლობისათვის, საქართველოს მრავალდარგოვანი სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის.

მშრომელები უდიდესი მოწონებით შეხვდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებს. პატრიოტული აღმავლობის ვითარებაში მიმდინარეობდა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების, საქართველოს სსრ უმაღლესი და ადგილობრივი საბჭოების არჩევნები. რესპუბლიკის მშრომელებმა დიდი კმაყოფილებით შეიტყვეს, რომ საქართველოში არჩევნები ამომრჩეველთა მაღალი აქტივობითა და დარაზმულობით ჩატარდა. კომუნისტებისა და უპარტიოების სახალხო ბლოკის კანდიდატებს საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობაზე ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რიცხვის 99,97 პროცენტმა.

არჩევნების შედეგები ნათლად გვიჩვენებენ, რომ საბჭოთა ხალხი, რომელიც მტკიცედ არის დარაზმული თავისი მშობლიური კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ირგვლივ, მთელ თავის ძალღონეს მოახმარს ჩვენი ქვეყნის მძიმე მრეწველობის შემდგომ მძლავრ განვითარებას, სოფლის მეურნეობის ყველა დარგების მკვეთრ აღმავლობას.

რესპუბლიკის უმაღლესსა და ადგილობრივ საბჭოებში ხალხმა წარგზავნა თავისი საუკეთესო წარმომადგენლები, რომელთაც მტკიცედ აქვთ შეგნებული, რომ დეპუტატი, როგორც ი. ბ. სტალინი გვასწავლიდა, ხალხის მსახურია, იგი უნდა დარჩეს თავისი ამოცანების სიმაღლეზე, არ დაეშვას პოლიტიკური ობივატელის დონემდე, უნდა დარჩეს ლენინის ტიპის პოლიტიკური მოღვაწის პოსტზე, იყოს ისეთივე გამორკვეული და ნათელი, ბრძოლაში უშიშარი, ხალხის მტრების მიმართ შეუბრალებელი, პანიკის ყოველი ნასახისაგან თავისუფალი, ისეთივე მართალი და პატიოსანი, ბრძენი და აუჩქარებელი, როგორიც იყო ლენინი.

მშრომელთა მზარდ საწარმოო და პოლიტიკურ აქტივობას ის უზრუნველყოფს, რომ ჩვენში აღმოფხვრილია სოციალურ-პოლიტიკური ჩაგვრისა და უთანასწორობის საფუძვლები, დამკვიდრებულია მეურნეობის სოციალისტური სისტემა. საბჭოთა ხალხი თვითონ განაგებს საკუთარ ბედს, მართავს სახელმწიფოსა და მთელ სახალხო მეურნეობას, აშენებს კომუნიზმს, ქმნის დიდებულ ისტორიას.

ვ. ი. ლენინის მიერ შექმნილმა კომუნისტურმა პარტიამ გააერთიანა ჩაგრული, ექსპლოატირებული მასები მჩაგვრელთა წინააღმდეგ საბრძოლველად, შექმნა მუშათა კლასისა და მშრომელი გლეხობის კავშირი, განავითარა სხვადასხვა ეროვნების ხალხთა მეგობრობა, ბრძოლებში გამოაწრთო, სამი რევოლუციის ქარცეცხლში გამოატარა მასები და მოიპოვა ისტორიული გამარჯვება, უზრუნველყო ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების ლენინური გეგმის განხორციელება.

კომუნისტურმა პარტიამ გენიალური ლენინისა და მისი უკვდავი საქმის დიდი გამგრძობის ი. ბ. სტალინის მეთაურობით დაუნდობელი ბრძოლა გამოუცხადა მარქსიზმ-ლენინიზმის მტრებს. გაანადგურა რა ტროცკისტები და მემარჯვენე ოპორტუნისტები, პარტიამ ი. ბ. სტალინის მეთაურობით განუხრელად განახორციელა ვ. ი. ლენინის მიერ დასახული ერთადერთი სწორი ხაზი მძიმე მრეწველობის განვითარებისა, სახალხო მეურნეობის ყველა დარგში წარმოების სოციალისტური წესის გამარჯვებისა. ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა მძლავრ ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სოციალისტურ სახელმწიფოდ. უძლეველ ძალად გადაიქცა მუშათა და კოლმეურნე გლეხთა კავშირი, განვითარდა სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა. ახალ სოციალურ-ეკონომიურ საფუძველზე წარმოიშვა საბჭოთა საზოგადოების ისეთი მძლავრი მამოძრავებელი ძალები, როგორიც არის სსრ კავშირის ხალხთა მეგობრობა, საბჭოთა საზოგადოების მორალურ-პოლიტიკური ერთიანობა, საბჭოთა პატრიოტიზმი.

სოციალისტური სამშობლოს სიყვარულს, ჭეშმარიტ პატრიოტიზმს ასწავლის და შთააგონებს ახალი ცხოვრების მშენებელ ადამიანებს ლენინისა და სტალინის ცხოვრებისა და მოღვაწეობის დიადი მაგალითი, კომუნისტური პარტიის მთელი საქმიანობა.

საბჭოთა ადამიანების პატრიოტიზმმა თვალსაჩინო როლი შეასრულა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის აშენების, შინაური და გარეშე მტრებისაგან საბჭოთა სამშობლოს დაცვის საქმეში. საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების, საბჭოთა პატრიოტიზმის ძალა და ცხოველმყოფელობა განსაკუთრებით გამოვლინდა დიდი სამამულო ომის დროს. საბჭოთა ადამიანები ფრონტზე თავგანწირული ბრძოლით და ზურგში ენერგიული შრომით უზრუნველყოფდნენ მტერზე გამარჯვებას. საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ი. ბ. სტალინის მეთაურობით ბრწყინვალე გამარჯვება მოიპოვა დიდ სამამულო ომში.

კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის ძალა, ჩვენი ხალხის უშრეტი ენერგიის წყაროა ლენინის გენიით გაცისკროვნებული რევოლუციური თეორია. მარად ცოცხალი და ცხოველმყოფელი მოძღვრება — მარქსიზმ-ლენინიზმი ასწავლის მშრომელებს საუკეთესო მომავლისათვის ბრძოლას, შთააგონებს მშრომელთა ინტერესების ერთიანობას, ზრდის მასებს პროლეტარული ინტერნაციონალიზმის სულისკვეთებით, უვითარებს მათ სამშობლოს სიყვარულის კეთილშობილურ გრძნობას. ჩვენს ადამიანებში პატრიოტულ სიამაყეს წარმოშობს ის, რომ სსრ კავშირი მშვიდობის მძლავრი ბანაკის სათავეშია და თანმიმდევრულად იბრძვის ახალი მსოფლიო ომის თავიდან აცილების, ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა სახეობის იარაღის აკრძალვისათვის, მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და პროგრესისათვის.

ამერიკის შეერთებული შტატების, კაპიტალისტური ქვეყნების აგრესიული წრეები დოლარებზე ჰყიდიან სამშობლოს, ერის უფლებებსა და დამოუკიდებლობას, ეროვნული სუვერენიტეტის დროშა გადაგდებულია. იმპერიალისტები ცდილობენ თავს მოახვიონ ხალხებს ახალი მსოფლიო ომი. საბჭოთა ხალხი, რომელიც მტკიცედ იბრძვის მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის, ერთსულოვნად უჭერს მხარს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ბრძნულ საგარეო და საშინაო პოლიტიკას. ამის ნათელ დადასტურებას წარმოადგენს ჩვენი ქვეყნის ხალხების საბჭოთა პატრიოტიზმის ახალი მძლავრი დემონსტრაცია პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მიერ დასახულ ისტორიულ ღონისძიებათა განხორციელებისათვის ბრძოლაში.

მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის დიადი, უძლეველი დროშით, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით — წინ, კომუნიზმის გამარჯვებისაკენ!

# ნ. ა. ბულგანინმა მიიღო შვეციის ელჩი როლფ რ. სულმანი

5 მარტს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ **ნ. ა. ბულგანინმა** მიიღო შვეციის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩი სსრ კავშირში **როლფ რ. სულმანი.** (საკდესი).

1955 წლის 9 მარტს საღამოს 8 საათზე მოწვეულია **მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს მეხუთე მოწვევის პირველი სესია.**

სესია შედგება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში (რუსთაველის პროსპ. № 8).

დეპუტატების რეგისტრაცია იწარმოებს იქვე, საღამოს 7 საათიდან.

**მშრომელთა დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომი.**

# თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ

1955 წლის 27 თებერვალს გაიმართა თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნები.

თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების შედეგების შესახებ თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისიის მონაცემებით არჩევნებში მონაწილეობა მიიღო ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,99 პროცენტმა.

კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატებს ხმა მისცა კენჭისყრის მონაწილე ამომრჩეველთა საერთო რაოდენობის 99,95 პროცენტმა. დეპუტატობის კანდიდატების წინააღმდეგ ხმა მისცა ამომრჩეველთა 0,05 პროცენტმა.

არჩევნების დებულების 99-ე მუხლის საფუძველზე უკანონოდ იქნა ცნობილი 2 ბიულეტენი.

სულ არჩეულია 442 დეპუტატი. ყველა არჩეული დეპუტატი კომუნისტებისა და უპარტიოების ბლოკის კანდიდატია.

დეპუტატთა შორის ქალები შეადგენენ 42,3 პროცენტს, სკკპ წევრები და წევრობის კანდიდატები — 57,2 პროცენტს, უპარტიოები — 42,8 პროცენტს.

# თბილისის მშრომელთა დეპუტატების (მეხუთე მოწვევის) საქალაქო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

**აბაშიძე** გრიგოლ გრიგოლის-ძე.
**აბაშიძე** თამარ ანტონის ასული.
**აბგაროვა** ევგენია მნაცაკანის ასული.
**აბიაშვილი** ნინო სამსონის ასული.
**აბოვიანი** ასტღიკ ისაის ასული.
**აბულაძე** ელენე იასონის ასული.
**აბულაძე** სერგი ვლადიმერის-ძე.
**აბულაძე** სევერიანე იოსების-ძე.
**ავეტისოვა** სანდუხტ ხორენის ასული.
**აზალაძე** მარიამ სტეფანეს ასული.
**აზიროვი** არტემ ივანეს-ძე.
**აზმაიფარაშვილი** შალვა ილიას-ძე.
**აირაპეტიანი** აშოტ მკრტიჩის-ძე.
**აკიფიევა** მარიამ ივანეს ასული.
**ალავიძე** სოფიო მიხეილის ასული.
**ალექსიძე (მარიჯან)** მარიამ მარკოზის ასული.
**ალიბეგაშვილი** თამარ ვასილის ასული.
**ამირკულოვი** ვართან გარეგინის-ძე.
**ამირანაშვილი** პეტრე ვარლამის-ძე.
**ანჯაფარიძე** ვერა ივლიანეს ასული.
**ანისიმოვი** პეტრე ნიკოლოზის-ძე.
**ანთაძე** ისაკი კონსტანტინეს-ძე.
**ანტონოვა** ავგუსტა ეფრემის ასული.
**არლანაშვილი** ნიკოლოზ თევდორეს-ძე.
**არევშატიანი** ელენე მურადის ასული.
**ართმელაძე** ილია დავითის-ძე.
**არუთინოვი** გურგენ გრიგოლის-ძე.
**აფხაძე** გრიგოლ ივანეს-ძე.
**ბაგიროვი** აბას მამედის-ძე.
**ბადრიძე** მარიამ მალაქიას ასული.
**ბადრიძე** ელისო იოსების ასული.
**ბადურაშვილი** თეიმურაზ გიორგის-ძე.
**ბაიდაური** ნიკოლოზ გიორგის-ძე.
**ბაიდაშვილი** ნიკოლოზ სტეფანეს-ძე.
**ბაქანიძე** მარგარიტა ფილიპეს ასული.
**ბაქრაძე** შალვა რომანის-ძე.
**ბალავაძე** ვახტანგ მიხეილის-ძე.
**ბალავაძე** ნადეჟდა ლუარსაბის ასული.
**ბარბაქაძე** ვახტანგ ვასილის-ძე.
**ბარძიმოვი** გიორგი ნიკოლოზის-ძე.
**ბარიგიანი** კარლო ისაკის-ძე.
**ბარკალაია** კაპიტონ პორფირეს-ძე.
**ბათიაშვილი** ელენე დიმიტრის ასული.
**ბახშინიანი** მიხეილ ივანეს-ძე.
**ბებერაშვილი** მარიამ თედოს ასული.
**ბეჟანიშვილი** ციალა ალექსანდრეს ასული.
**ბერძენიშვილი** გიორგი გაბრიელის-ძე.
**ბერძენიშვილი** ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე.
**ბერიძე** გიორგი ლევანის-ძე.
**ბერუაშვილი** მიხეილ ანტონის-ძე.
**ბიკაშვილი** თამარ ივანეს ასული.
**ბილანიშვილი** გიორგი ივანეს-ძე.
**ბობრიშევა** ლიუბოვ თევდორეს ასული.
**ბოკერია** ალექსანდრე ანთიმოზის-ძე.
**ბოკერია** მარიამ სევერიანეს ასული.
**ბუაჩიძე** პეტრე გიგოს-ძე.
**ბუჯიაშვილი** კონსტანტინე დიმიტრის-ძე.
**ბულენოკი** ვალენტინა ლარიონის ასული.
**ბურდული** ივანე დიმიტრის-ძე.
**ბურია** მიხეილ თევდორეს-ძე.
**ბუხრაშვილი** ლევან თევდორეს-ძე.
**გაბაძე** მდინარა იოსების ასული.
**გაბუნია** ანდრია ალექსის-ძე.
**გამრეკელი** სოფიო იოსების ასული.
**გამრეკელაშვილი** ანასტასია ევდოკიმეს ასული.
**გარსევანოვა** არუსიაკ დარჩოს ასული.
**გეგელია** თადეოზ გიორგის-ძე.
**გეგიაძე** ელენე სოლომონის ასული.
**გედევანიშვილი** გიორგი კონსტანტინეს-ძე.
**გელაშვილი** გიორგი გიორგის-ძე.
**გელენიძე** ეკატერინე გიორგის ასული.
**გეთაშვილი** ივანე მიხეილის-ძე.
**გვანცელაძე** მარიამ მიხეილის ასული.
**გვენცაძე** ნინო ვასილის ასული.
**გვინჩიძე** ივანე სერგის-ძე.
**გიგაური** გიორგი ნიკოლოზის-ძე.
**გიგოლოვი** მიხეილ გიორგის-ძე.
**გიგოლაშვილი** გიორგი ივანეს-ძე.
**გიგუაშვილი** გერასიმე არშაკის-ძე.
**გილაური** ბარბარე ვასილის ასული.
**გიორგობიანი** ნოე ბიჭიას-ძე.
**გოგელაშვილი** მარიამ ფარნას ასული.
**გოგიაშვილი** რომან არტემის-ძე.
**გოგიჩაძე** ლევან დიმიტრის-ძე.
**გოგობერიშვილი** ნადეჟდა ბესარიონის ასული.
**გოგლიძე** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე.
**გოგლიძე** ნიკოლოზ ალექსის-ძე.
**გოდინაშვილი** შალვა ალექსის-ძე.
**გოქაძე** მარიამ კონსტანტინეს ასული.
**გოკიელი** ელენე პეტრეს ასული.
**გომარელი** ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე.
**გოცაძე** კალისტრატე მიხეილის-ძე.
**გოჩიტაშვილი** ნუნუ ანდრიას ასული.
**გოჩალეიშვილი** ლავრენტი პავლეს-ძე.
**გრიგოლია** სერგი ალექსანდრეს-ძე.
**გრიშაშვილი** იოსებ გრიგოლის-ძე.
**გრძელიძე** ელისაბედ გერმანეს ასული.
**გუჯაბიძე** ზინაიდა ერმალოს ასული.
**გულისაშვილი** ვასილ ზაქარიას-ძე.
**დავითაშვილი** გიორგი მიხეილის-ძე.
**დავითაშვილი** ლეო შიოს-ძე.
**დავითაშვილი** მერი შალვას ასული.
**დარახველიძე** თამარ მიხეილის ასული.
**დათუაშვილი** მარიამ გიორგის ასული.
**დანელიანი** ვარსენიკ ზაქარიას ასული.
**დანელია** მელიტონ მიხეილის-ძე.
**დანილოვა** ლიუბოვ მიხეილის ასული.
**დევსურაშვილი** შოთა სიმონის-ძე.
**დერბენცევა** ანა მელიტონის ასული.
**დელბაშიშვილი** მარიამ ანდრიას ასული.
**დვალიშვილი** ნადეჟდა პავლეს ასული.
**დვალი** ვასილ ნიკოლოზის-ძე.
**დიასამიძე** ლევან ნიკოლოზის-ძე.
**დიმაკოვა** ნინო ალექსანდრეს ასული.
**ეგაძე** თეიმურაზ ნიკოლოზის-ძე.
**ელიაური** გიორგი გიორგის-ძე.
**ელიაშვილი** ლეონტი ვასილის-ძე.
**ელიბეკიანი** ვაღარშაკ არუთინის-ძე.
**ენუქიძე** დავით ერმილეს-ძე.
**ეპიტაშვილი** ვახტანგ დიმიტრის-ძე.
**ესაიაშვილი** ვარლამ გიორგის-ძე.
**ეფრემოვი** ივანე ივანეს-ძე.
**ვარდიაშვილი** ბარბარე მათეს ასული.
**ვაისერმანი** კონსტანტინე ნიკოლოზის-ძე.
**ვარჩენკო** ალექსანდრა სიმონის ასული.
**ვაშაკიძე** გრიგოლ სილიბისტროს-ძე.
**ვაშაკიძე** შალვა დავითის-ძე.
**ვენაძე** გრიგოლ იობის-ძე.
**ვერეტენიკოვი** ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე.
**ვირსალაძე** კონსტანტინე სპირიდონის-ძე.
**ზაქარიაძე** ვლადიმერ თევდორეს-ძე.
**ზანდარაშვილი** ნიკოლოზ ივანეს-ძე.
**ზარიძე** გიორგი მიხეილის-ძე.
**ზიბზიბაძე** ქუქუნა გრიგოლის ასული.
**ზიმინი** პავლე კონდრატის-ძე.
**ზუბკოვა** ელენე ანდრიას ასული.
**ზუევი** მიხეილ გრიგოლის-ძე.
**ზულიაშვილი** ირინე ილიას ასული.
**ზურაბაშვილი** ავლიპი დავითის-ძე.
**თავაძე** ეველინა ზაქარიას ასული.
**თავზარაშვილი** თამარ ილიას ასული.
**თანდილაშვილი** ივანე ვასილის-ძე.
**თარგამაძე** კონსტანტინე მიხეილის-ძე.
**თათარაშვილი** მიხეილ ალექსანდრეს-ძე.
**თედიაშვილი** ეკატერინე ქიტესას ასული.
**თევზაძე** ალექსანდრე ალექსანდრეს-ძე.
**თითირაშვილი** დესპინე დიმიტრის ასული.
**თორაძე** დავით ალექსანდრეს-ძე.
**თოფურია** ვარლამ ტრიფონის-ძე.
**თოფურიძე** ვალენტინ ბაგრატის-ძე.
**თუშიშვილი** ნიკოლოზ იაგორის-ძე.
**თუმაჯანოვი** ივანე ილიას-ძე.
**იაკოვიცკაია** პრასკოვია არტემის ასული.
**იაკოვენკო** ლეონტი ეგნატეს-ძე.
**იაშვილი** მიხეილ ვიქტორის-ძე.
**იაშვილი** თამარ ნიკოლოზის ასული.
**იაშვილი** თამარ სიმონის ასული.
**ივანიკოვა** მარიამ ვასილის ასული.
**ივაშჩენკო** დიმიტრი ანდრიას-ძე.
**იმერლიშვილი** სოფიო ლევანის ასული.
**იმნაიშვილი** გრიგოლ შალვას-ძე.
**იურჩაკი** ვალენტინა ანდრიას ასული.
**კაპიტონოვი** ანდრია ვასილის-ძე.
**კაზალიკაშვილი** ელენე დავითის ასული.
**კაკაბაძე** მიხეილ ვასილის-ძე.
**კაკაბაძე** თამარ ალექსანდრეს ასული.
**კალანდაძე** გარსევან ნესტორის-ძე.
**კალანდარაშვილი** ვასასი მიხეილის ასული.
**კანდელაკი** ელენე პარმენის ასული.
**კაპანაძე** იური ფედოტის-ძე.
**კაჭარავა** ვილიამ იაკობის-ძე.
**კენჭაძე** გიორგი ირაკლის-ძე.
**კერესელიძე** აბესალომ არტემის-ძე.
**კერესელიძე** პეტრე გაბრიელის-ძე.
**კვანტალიანი** ილია დავითის-ძე.
**კვარაცხელია** დავით ილიას-ძე.
**კვეზერელი-კოპაძე** ევგენია თევდორეს ასული.
**კვესელავა** მიხეილ ალექსანდრეს-ძე.
**კვესიტაძე** ივანე ფილიპეს-ძე.
**კიკნაძე** გიორგი ქრისტეფორეს-ძე.
**კიკნაძე** შალვა დავითის-ძე.
**კიწმარეიშვილი** გოგოლა ბესარიონის ასული.
**კობახიძე** მიხეილ გიორგის-ძე.
**კობერიძე** მარგარიტა ივანეს ასული.
**კობეშავიძე** თამარ დავითის ასული.
**კოკელაძე** გრიგოლ ირაკლის-ძე.
**კოლესნიკოვა** ევგენია მიხეილის ასული.
**კონიაშვილი** სერგი გიორგის-ძე.
**კონსტანტინოვი** არკადი ალექსანდრეს-ძე.
**კოპალიანი** დავით ამბაკოს-ძე.
**კოროლიოვი** ივანე ნიკოლოზის-ძე.
**კორახაშვილი** არჩილ ივანეს-ძე.
**კოჭლავაშვილი** ერემია ივანეს-ძე.
**კოხტაშვილი** ნადეჟდა ალექსანდრეს ასული.
**კრასნოვა** ლიდია დიმიტრის ასული.
**კუზმინი** ნიკოლოზ ფილიპეს-ძე.
**კუპრაძე** ვიქტორ დიმიტრის-ძე.
**კუპრაშვილი** მიხეილ ლუკას-ძე.
**ლავროვი** გრიგოლ ნიკოლოზის-ძე.
**ლარიონოვი** სტეფანე მირიანის-ძე.
**ლაფანაშვილი** ალექსი გიორგის-ძე.
**ლებანიძე** შალვა ალექსის-ძე.
**ლელუაშვილი** ეკატერინე დავითის ასული.
**ლექვინაძე** ვერა დავითის ასული.
**ლიტომინი** გრიგოლ მათეს-ძე.
**ლიკლიკაძე** გივი ივანეს-ძე.
**ლომოური** იულონ ნიკოლოზის-ძე.
**ლომიძე** ბორის ერმილეს-ძე.
**ლორთქიფანიძე** კონსტანტინე ალექსანდრეს-ძე.
**ლორთქიფანიძე** მიხეილ სოლომონის-ძე.
**ლორთქიფანიძე** დავით ონისიმეს-ძე.
**ლუსინიანი** არტემ ჰაიკის-ძე.
**მაღრაძე** მიხეილ კონდრატეს-ძე.

(დასასრული მე-2 გვერდზე).

# ბ რ ძ ა ნ ე ბ უ ლ ე ბ ა
## საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა
## საქართველოს სსრ მედიცინის მუშაკებისათვის საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

სახალხო ჯანმრთელობის დაცვის დარგში თვალსაჩინო დამსახურებისათვის მიენიჭოთ საქართველოს სსრ დამსახურებული ექიმის საპატიო წოდება:

1. **ანდრონიკაშვილს** ნინო ალექსანდრეს ასულს — ქ. ბორჯომის № 2 სანატორიუმის ექიმ-ორდინატორს.
2. **არვანოვას** არშალუშ სტეფანეს ასულს — ახალციხის ბავშვთა კონსულტაციის გამგეს.
3. **ახალაძეს** პეტრე ვარდენის-ძეს — რუსთავის ქალაქის საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.
4. **ბეჟანიშვილს** მიხეილ იაკობის-ძეს — ყვარლის რაიონის სოფელ ოქტომბრის საექიმო უბნის გამგეს.
5. **გამცემლიძეს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს — ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის საავადმყოფოს ქირურგს.
6. **გოგოლაძეს** დავით ნიკოლოზის-ძეს — ახალქალაქის რაიონული საავადმყოფოს ქირურგიული განყოფილების გამგეს.
7. **გოგოლაშვილს** ივანე კონსტანტინეს-ძეს — თბილისის ქალაქის მეორე საავადმყოფოს უფროს ორდინატორს.
8. **გოგორიშვილს** შალვა სილოვანის-ძეს — კასპის რაიონის სოფელ ჯიმითის საექიმო უბნის გამგეს.
9. **დარმანიანს** იაკობ პეტრეს-ძეს — დმანისის რაიონული საავადმყოფოს ქირურგს.
10. **ვაშაყმაძეს** დარეჯან სამსონის ასულს — მახარაძის რაიონული საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების ექიმს.
11. **თაქთაქიშვილს** სოფიო ნესტორის ასულს — სურამის ბავშვთა სანატორიუმის მთავარ ექიმს.
12. **თოფურიძე-ფანიევას** მარიამ ლუკას ასულს — ქ. თბილისის ბალნეოლოგიური კურორტის გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს.
13. **კიკვაძეს** ირაკლი დიმიტრის-ძეს — ორჯონიკიძის რაიონის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს.
14. **კირთულიშვილს** მარიამ გიორგის ასულს — გურჯაანის რაიონული გაერთიანებული საავადმყოფოს პოლიკლინიკური განყოფილების გამგეს.
15. **კობეშავიძეს** ილია მიხეილის-ძეს — ვანის რაიონული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
16. **ლობჟანიძეს** ნიკიფორე სავლეს-ძეს — ლაგოდეხის სამშობიარო სახლის გამგეს.
17. **მირიანაშვილს** გიორგი ნიკოლოზის-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს თერაპიული განყოფილების გამგეს.
18. **მძინარიშვილს** ოლღა ნიკოლოზის ასულს — სიღნაღის რაიონული საავადმყოფოს გინეკოლოგიური განყოფილების გამგეს.
19. **პატარაიას** მავრო კალისტრატეს-ძეს — ყვარლის რაიონული საავადმყოფოს ქირურგს.
20. **რობიტაშვილს** გიორგი ალექსანდრეს-ძეს — წითელწყაროს რაიონის სოფელ ზემო მაჩხაანის საექიმო უბნის გამგეს.
21. **ტოგონიძეს** ილარიონ გაბრიელის-ძეს — წულუკიძის რაიონული საავადმყოფოს თერაპევტს.
22. **ქავთარაძეს** ქეთევან სევასტის ასულს — თელავის სამშობიარო სახლის მთავარ ექიმს.
23. **ქემერტელიძეს** პეტრე გარსევანის-ძეს — საჩხერის რაიონული გაერთიანებული საავადმყოფოს ბავშვთა კონსულტაციის გამგეს.
24. **ქობულიას** გაბრიელ ისიდორეს-ძეს — საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს ცენტრალური კლინიკური საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
25. **შათირიშვილს** შალვა გიორგის-ძეს — თელავის რაიონის სოფელ იყალთოს უბნის საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
26. **შარაშენიძეს** ამბროსი პარმენის-ძეს — სამტრედიის რაიონის მშრომელთა დეპუტატების საბჭოს აღმასკომის ჯანმრთელობის დაცვის განყოფილების გამგეს.
27. **ჩიკვაიძეს** იოსებ ბაგრატის-ძეს — ქ. თბილისის № 1 ბავშვთა გაერთიანებული საავადმყოფოს მთავარ ექიმს.
28. **ჩოჩიას** ანა ნესტორის ასულს — აბაშის რაიონის ექიმ-პედიატრს.
29. **ცომაიას** ილარიონ დიმიტრის-ძეს — ქ. ფოთის სამალარიო სადგურის მთავარ ექიმს.
30. **წურწუმიას** გრიგოლ მურადის-ძეს — ქ. თბილისის ბავშვთა პირველი ინფექციური საავადმყოფოს განყოფილების გამგეს.
31. **ჭახნაშვილს** დიმიტრი ნიკოლოზის-ძეს — კურორტ წყალტუბოს მეექვსე სააბაზანო შენობის მთავარ ექიმს.

**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე მ. ჩუბინიძე.**
**საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი თ. ქვლივიძე.**

ქ. თბილისი. 1955 წლის 3 მარტი.

# თბილისის მშრომელთა დეპუტატების (მეხუთე მოწვევის) საქალაქო საბჭოში არჩეულ დეპუტატთა სია

(დასასრული)

მაღრაძე ვახტანგ კორნელის-ძე.

მაღლაკელიძე მარიამ ვლადიმერის ასული.

მამაცაშვილი დავით გიორგის-ძე.

მაკალათია თამარ ანტონის ასული.

მაისურაძე დავით გიორგის-ძე.

მარკოვი ვლადიმერ ალექსანდრეს-ძე.

მანუკოვა მარიამ საკის ასული.

მარგიანი რევაზ აკაკის-ძე.

მარშანია ვიქტორ ქრისტეფორეს-ძე.

მარგიშვილი თამარ მიხეილის ასული.

მარკოზაშვილი ეთერ ივანეს ასული.

მათიაშვილი თამარ მიხეილის ასული.

მარტიაშვილი ვლადიმერ გიორგის-ძე.

მართაშვილი ფატი ნიკოლოზის ასული.

მარტიროსიანი არმანუშ მოსესის ასული.

მახარაძე მარიამ ივანეს ასული.

მახვილაძე მზია მიხეილის ასული.

მგალობლიშვილი ნინო ალექსანდრეს ასული.

მგელაძე ციალა ესტატეს ასული.

მემარნიშვილი მიხეილ გიორგის-ძე.

მეგრელიძე ბარბარე ეგნატეს ასული.

მელქონიანი აიკანუშ ოგანეზის ასული.

მელაძე ლუბა კლასიონის ასული.

მერკვილაძე გიორგი ივლიანეს-ძე.

მესტიაშვილი გიორგი ვლადიმერის-ძე.

მენთეშაშვილი ირაკლი ტიმოთეს-ძე.

მიქავა ლილი აკაკის ასული.

მიქაშავიძე ნოე ქრისტეფორეს-ძე.

მირიანაშვილი ილია ვლადიმერის-ძე.

მიტიხანოვა ნინო აგლარის ასული.

მიტროფანოვა ეკატერინე ივანეს ასული.

მკერლიშვილი ეთერ სიმონის ასული.

მოინოვა მარგარიტა ნიკოლოზის ასული.

მოისწრაფიშვილი კარლო იოსების-ძე.

მუავანაძე ვასილ პავლეს-ძე.

მუავანაძე ვალენტინა ვასილის ასული.

მუჩიაშვილი ზაქარია ნიკოლოზის-ძე.

მუქერია ნინო ვარლამის ასული.

მუსხელიშვილი ნიკოლოზ ივანეს-ძე.

მუჯირი ნათელა ანტონის ასული.

მღებრიშვილი გიორგი ილიას-ძე.

მშვიდობაძე გიორგი იოსების-ძე.

მჭედლიშვილი ნინო იოსების ასული.

მჭედლიძე ბაბილინა ალექსის ასული.

მხეიძე ბესარიონ ნოეს-ძე.

ნაკაშიძე თინათინ ერმილეს ასული.

ნათელაშვილი თამარ დავითის ასული.

ნასიძე გიორგი პორფირეს-ძე.

ნებიერიძე ელეონორა იაკობის ასული.

ნებიერიძე ლილი ლავრენტის ასული.

ნიკულინა ევდოკია სიმონის ასული.

ნინოშვილი ვახტანგ იოსების-ძე.

ნოვიკოვი ანდრია ვასილის-ძე.

ნოვიკოვი ნიკოლოზ დიმიტრის-ძე.

ნოვიკოვი იული მიხეილის-ძე.

ნონეშვილი იოსებ ელიოზის-ძე.

ოგანეზოვი ჰაიკ ოგანეზის-ძე.

ომანიძე შალვა ილიას-ძე.

ორჯონიკიძე ნიკოლოზ გალაქტიონის-ძე.

ორჯონიკიძე თინათინ აკაკის ასული.

ორეხოვა მართა სიმონის ასული.

ოსაძე ნინო სტეფანეს ასული.

ოსმალოვი ალექსი ნიკიტას-ძე.

ოტიაშვილი ქეთევან ნიკოლოზის ასული.

პაატაშვილი შალვა ესტატეს-ძე.

პაპინიანი აშხენ ხაჩატურის ასული.

პანიევი ვლადიმერ კონსტანტინეს-ძე.

პაიჭაძე ბორის სოლომონის-ძე.

პაჭკორია ერი ანტონის-ძე.

პივოვაროვი გრიგოლ ნათანის-ძე.

პირიაშვილი მიხეილ ალექსის-ძე.

პლოტნიკოვი გრიგოლ ნიკოლოზის-ძე.

პლოტნიკოვა ირინე ზაქარიას ასული.

პოგოდინა ეკატერინე სერგის ასული.

პომოგაილო ალექსი მიხეილის-ძე.

პრონოვიჩი ირაიდა კარპეს ასული.

პუხაევა ნინო დავითის ასული.

ჟაროვა კლავდია ივანეს ასული.

ჟორდანია რუსუდან ივანეს ასული.

ჟორჟოლიანი დავით გრიგოლის-ძე.

რაზიკაშვილი ნინო მიხეილის ასული.

რამიშვილი ნოდარ ნოეს-ძე.

რცხილაძე გიორგი ვასილის-ძე.

საანიშვილი თამარ გაბრიელის ასული.

საბანაძე შალვა ილიას-ძე.

საკანდელიძე მარგარიტა მიხეილის ასული.

სალუქვაძე ბორის ალექსანდრეს-ძე.

სანიკიძე მიხეილ ტარასის-ძე.

სელეზნევა ნადეჟდა მიხეილის ასული.

სემენსკაია ელენე მეჩისლავის ასული.

სემიონოვი გიორგი სიმონის-ძე.

სერგეევი ნიკოლოზ გიორგის-ძე.

სერდიუკოვა ოლღა ვასილის ასული.

სეხნიაშვილი ემილ ალექსის-ძე.

სეხნიაშვილი ანა ალექსის ასული.

სიმონია გიორგი პავლეს-ძე.

სიმონიშვილი ელენე ზაალის ასული.

სიმონიანი გურგენ არკადის-ძე.

სირაძე ვიქტორია მოსეს ასული.

სისაკიანი ვარსიკ გრიგოლის ასული.

სიხარულიძე ალექსანდრა ვლადიმერის ასული.

სიხარულიძე მარიამ ალექსის ასული.

სლავნიცკაია მარიამ ილიას ასული.

სოლოდუშა ევდოკია ვასილის ასული.

სოფნიუკოვა ანა სიმონის ასული.

სოხაძე ნინო კონდრატეს ასული.

სოხაძე კონსტანტინე გიორგის-ძე.

სტურუა გაიოზ მელიტონის-ძე.

სურგულაძე ნინო ლუკას ასული.

სუხიტაშვილი ვახტანგ ივანეს-ძე.

სხვიტარიძე თამარ სოლომონის ასული.

ტალიაშვილი გიორგი ალექსანდრეს-ძე.

ტიელიძე ანა დავითის ასული.

ტიმოფეევა ანა ვასილის ასული.

ტიტვინიძე შალვა მიხეილის-ძე.

ტყეშელაშვილი ვლადიმერ გრიგოლის-ძე.

ფანჩვიძე ვლადიმერ ნიკოლოზის-ძე.

ფარცხალაძე ქეთუნა რაფიელის ასული.

ფაღავა ირაკლი ყარამანის-ძე.

ფალავანდიშვილი სევერიანე ვლადიმერის-ძე.

ფატეევა ანა პეტრეს ასული.

ფიფია ეგნატე კალისტრატეს-ძე.

ფინენკო ალექსი იაკობის-ძე.

ფუნტოვი ნიკოლოზ თევდორეს-ძე.

ფურცხვანიძე ნინო მეთოდეს ასული.

ქავთარაძე ელენე გიორგის ასული.

ქარუმიძე იოსებ გიორგის-ძე.

ქებაძე სერგი სპირიდონის-ძე.

ქიაჩელი ლეო მიხეილის-ძე.

ქობულაძე სერგი სოლომონის-ძე.

ქობულია გაბრიელ ისიდორეს-ძე.

ქობულია გიორგი სამსონის-ძე.

ქორქია ოთარ მიხეილის-ძე.

ქურციკიძე რუბენ ექვთიმეს-ძე.

ქუთათელაძე თინა კონსტანტინეს ასული.

ღავთაძე ელენე მალხაზის ასული.

ღამბაშიძე ლეილა ბიძინას ასული.

ღარიბაშვილი ივანე ნიკოლოზის-ძე.

ღლონტი ეთერ ვალერიანის ასული.

ღლონტი შალვა გრიგოლის-ძე.

ღოღობერიძე დავით სიმონის-ძე.

ღოღობერიძე ავთანდილ ნიკოლოზის-ძე.

ყაზაროვა ბარბარე გიორგის ასული.

ყარყარაშვილი მარგარიტა ვასილის ასული.

ყანჩაველი ლევან ალექსის-ძე.

ყუფარაძე შოთა ივანეს-ძე.

შალამბერიძე ლილი პარმენის ასული.

შანიძე აკაკი გაბრიელის-ძე.

შანიძე ანა მიხეილის ასული.

შარაშენიძე ელიზბარ ალექსის-ძე.

შარიქაძე იულია ალექსანდრეს ასული.

შატბეროვი ბორის მიხეილის-ძე.

შატბერაშვილი ვალენტინა გიორგის ასული.

შევჩენკო ნადეჟდა თევდორეს ასული.

შელია ოლღა იაგორის ასული.

შენგელია ალექსანდრე თომას-ძე.

შენგელია ოლღა ივანეს ასული.

შვანგირაძე ალექსი გიორგის-ძე.

შვირკოვი მიხეილ თევდორეს-ძე.

შიკოვა პრასკოვია ეფიმის ასული.

შინჯიკაშვილი ქეთევან სოლომონის ასული.

შიუკაშვილი ვანდა ნიკოლოზის ასული.

შოშიაშვილი იულია ლონგინოზის ასული.

ჩაგელიშვილი ეკატერინე მიხეილის ასული.

ჩალაური ანასტასია გიორგის ასული.

ჩახუნაშვილი ალექსანდრე ვლადიმერის-ძე.

ჩელებაძე ნათელა ასლანის ასული.

ჩეხაშვილი თამარ ეფრემის ასული.

ჩიგოგიძე გალაქტიონ ნიკოლოზის-ძე.

ჩიგოგიძე სალომე ბესარიონის ასული.

ჩიმიშკიანი რაფაელ არკადის-ძე.

ჩიტაიშვილი ალექსანდრე იოსების-ძე.

ჩოფიკაშვილი ელენე დავითის ასული.

ჩომახიძე ვლადიმერ იოსების-ძე.

ჩუბინიძე მირონ დიმიტრის-ძე.

ჩხენკელი ივანე ნოეს-ძე.

ჩხეიძე ანა ილიას ასული.

ცალქალამანიძე მედეა ვახტანგის ასული.

ცინცაბაძე გრიგოლ ნოეს-ძე.

ციგანკოვი ვასილ ეფრემის-ძე.

ციციშვილი ირაკლი ნიკოლოზის-ძე.

ციციშვილი ნინო სოლომონის ასული.

ციტოხცევი არამ მანუკის-ძე.

ცოფურაშვილი ნინო ალექსის ასული.

ცქიტიშვილი ელენე ილიას ასული.

ცქიფურიშვილი ლევან მელიტონის-ძე.

ცხაკაია ქსენია ეფრემის ასული.

ძლიერიშვილი ალექსანდრე პავლეს-ძე.

წერეთელი კონსტანტინე ივანეს-ძე.

წერეთელი თინათინ ვასილის ასული.

წულუკიძე ალექსანდრე პეტრეს-ძე.

ჭაბუკიანი ვახტანგ მიხეილის-ძე.

ჭავჭანიძე ვიქტორ მიხეილის-ძე.

ჭეიშვილი ალექსანდრე ნიკოლოზის-ძე.

ჭიაურელი ვლადიმერ ივანეს-ძე.

ჭინჭარაძე ეთერ ნიკოლოზის ასული.

ჭილლაძე პაშა სევასტის ასული.

ჭკუასელი ლევან სერაპიონის-ძე.

ჭუმბურიძე ილია დავითის-ძე.

ჭყონია თამარ იაგორის ასული.

ხაზარაძე გიორგი ილარიონის-ძე.

ხატიაშვილი ნინო ივანეს ასული.

ხელაშვილი ეკატერინე დავითის ასული.

ხეთაგური ივანე პეტრეს-ძე.

ხვადაგიანი ალექსანდრე ბიჭიას-ძე.

ხიზანიშვილი გიორგი დავითის-ძე.

ხმალაძე გიორგი გიორგის-ძე.

ხომერიკი გერმანე ფილიპეს-ძე.

ხორავა ალექსანდრე ლავრენტის-ძე.

ხოჭოლავა კლარა მუხრანის ასული.

ხუბულური ვლადიმერ დავითის-ძე.

ხუციშვილი ილარიონ მირონის-ძე.

ხუციშვილი მარიამ იოსების ასული.

ჯავახიშვილი გივი დიმიტრის-ძე.

ჯავახიშვილი ნიკოლოზ ვლადიმერის-ძე.

ჯავახიშვილი ვახტანგ შალვას-ძე.

ჯამალაშვილი იოსებ მიხეილის-ძე.

ჯანიაშვილი სალომე გიორგის ასული.

ჯანფოლადოვი სმბატ ეგიას-ძე.

ჯანელიძე ბენიამინ ევტიხის-ძე.

ჯაფარიძე ალექსანდრა გიორგის ასული.

ჯაფარიძე შალვა არჩილის-ძე.

ჯიქია ქსენია ილარიონის ასული.

ჯიქიძე მარიამ პეტრეს ასული.

ჯოხაძე ვარდო ვიქტორის ასული.

ჯორბენაძე სერგი მანასეს-ძე.

ჯომარჯიძე გიორგი სიმონის-ძე.

ჯულელი მედეა ნიკოლოზის ასული.

ჯულაშვილი ნინო ივანეს ასული.

**თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს არჩევნების თბილისის საქალაქო საარჩევნო კომისია.**



**თბილისი.** საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, ტრამვაის სახელოსნოს მოწინავე ზეინკალი ვლადიმერ სუხიშვილი არჩევნების შემდგომ დღეებში ყოველდღიურ საწარმოო დავალებას დიდი გადაჭარბებით ასრულებს.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## მძიმეწონოსან მეორთქლმავლეთა ახალი წარმატება

თბილისის საორთქლმავლო დეპოს მძიმეწონოსანმა მეორთქლმავლეებმა იანვარსა და თებერვალში ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 25.502 ტონა სახალხო-სამეურნეო ტვირთები. საუკეთესო მაჩვენებლები მოიპოვა მოწინავე მემანქანემ ა. ლომსაძემ, რომელმაც იანვარსა და თებერვალში გადაიყვანა 12 მძიმე წონის მატარებელი, ნორმის გადამეტებით გადაზიდა 1.302 ტონა სახელმწიფო ტვირთი და მოგვცა 19,8 ტონა საწვავის ეკონომია.

მეორთქლმავლეებმა ე. ლარიბოვმა და ს. ზარკოსაძემ იმავე ორ თვეში გადაიყვანეს 22 მძიმე წონის მატარებელი, ნორმის გადამეტებით გადაზიდეს 2.348 ტონა ტვირთი და დაზოგეს 30,6 ტონა საწვავი.

## სათადარიგო ნაწილები მრეწველობისათვის

1.200 სახელწოდების სხვადასხვა სათადარიგო ნაწილს ამზადებს თბილისის მანქანათა ნაწილების ქარხანა რესპუბლიკის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის ფაბრიკა-ქარხნებისათვის. თუჯის, ფოლადის, ბრინჯაოსა და ალუმინისაგან მზადდება კბილანები, საკისრები, ლილვები, ხრახნები, მქნევარები და სხვ., ხოლო საფეიქრო მრეწველობისათვის ხის მაქოები, კოჭები, მასრები. გასულ წელს აქ გამოშვებულია 2 მილიონზე მეტი სხვადასხვა ნაწილი.

ქარხანამ ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკების — სომხეთისა და აზერბაიჯანის ფართო მოხმარების სამრეწველო საქონლის საწარმოებს შარშან დაუმზადა 50 სახელწოდების 100.000 ცალი სათადარიგო ნაწილი.

წელს ქარხანამ დაიწყო მცირე მანქანების მშენებლობა. ამჟამად საცდელად მზადდება ქსოვილის ნაწიბურების საქსოვი 4 მანქანა. ათვისების შემდეგ იგი სერიულად დამზადდება საქართველოსა და აზერბაიჯანის საფეიქრო მრეწველობისათვის. ჩამოყალიბდა ხის დამმუშავებელი ახალი საამქრო, რომელშიც ათვისებულია ქარხნების არასტანდარტული დამხმარე დაზგა-დანადგარების წარმოება უმეტესად ფეხსაცმლისა და საფეიქრო მრეწველობისათვის.

ჩამოყალიბდა აგრეთვე ფერადი ლითონის სამსხმელო საამქრო.

## ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის ხელმძღვანელი მუშაკები საქართველოში

საქართველოში შვიდ დღეს იყო ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია, რომელიც საბჭოთა კავშირში მოიწვია სსრ კავშირის ელექტროსადგურთა სამინისტრომ.

დელეგაციას მეთაურობდა ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის სათბობის მრეწველობის მინისტრის მოადგილე ლუ ლან-ბო. დელეგაციაში შედიოდნენ ჰიდროენერგომშენებლობის მთავარი სამმართველოს უფროსი ლი ქუი, აღმოსავლეთ ჩინეთის ჰიდრომშენის სამმართველოს უფროსი ვან სინი, ჩრდილო-აღმოსავლეთ ჩინეთის ჰიდრომშენის სამმართველოს უფროსის მოადგილე შენ სინ-სიანი, ჰიდროენერგომშენის მთავარსამმართველოს დამპროექტებელი ინსტიტუტის უფროსის მოადგილე ვან ლუ-ნამი, ხუან ტანკზუს ჰიდროენერგეტიკული მშენებლობის უფროსი ლუ შაო-ვენი, ჰიდროენერგომშენის ტექნიკური განყოფილების უფროსის მოადგილე ვან ბაო-ძი, ჰიდროენერგომშენის მთავარსამმართველოს დამპროექტებელი ინსტიტუტის მთავარი ინჟინრის მოადგილე იუე კაო-ცუანი და სხვები.

ჩინელი ენერგეტიკოსები გაეცნენ ჰიდროელექტროსადგურთა მუშაობის გამოცდილებას და ენერგეტიკულ მშენებლობას საქართველოში. ისინი იყვნენ ვ. ი. ლენინის სახელობის ზაჰესში, ხრამჰესში, ორთაჭალჰესში, ტირიფონჰესში გორის რაიონში, იგოეთის ჰესის მშენებლობაზე კასპის რაიონში, დაინტერესდნენ სრულიად საკავშირო დამპროექტებელი ინსტიტუტის ჰიდროენერგოპროექტის თბილისის განყოფილების მუშაობით.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის მუშაკები ესაუბრნენ საქენერგოს მმართველს დ. ნ. ჩხეიძეს და საქართველოს ჰიდროენერგომშენის ტრესტის მმართველს ვ. ლ. ჭანკოტაძეს.

დელეგაცია მიიღო საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ გ. დ. ჯავახიშვილმა.

საქართველოში ყოფნის დროს ჩინელმა ენერგეტიკოსებმა დაათვალიერეს აგრეთვე თბილისის ღირსშესანიშნაობანი. ისინი იყვნენ ავლაბრის ყოფილ არალეგალურ სტამბაში, პიონერთა და მოსწავლეთა სასახლეში, თეატრებში, მუზეუმებში.

საქენერგომ და უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოებამ სტუმრების პატივსაცემად გამართეს დარბაზობა, რომელზეც იყვნენ ენერგეტიკული მრეწველობის პასუხისმგებელი მუშაკები და თბილისის საზოგადოებრიობის წარმომადგენლები.

ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის ენერგეტიკული მრეწველობის ხელმძღვანელ მუშაკთა დელეგაცია თბილისიდან გაემგზავრა აზერბაიჯანის სს რესპუბლიკაში. (საქინფორმი).

## კურორტოლოგიის ინსტიტუტი კოლმეურნეობის შეფია

თელავი. (საკ. კორ.). საქართველოს სსრ ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს კურორტოლოგიის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი შეფობას უწევს რუისპირის კოლმეურნეობა „ყურძენ-თავთავს“.

ინსტიტუტის დირექტორმა დოცენტმა ვ. გოგიბედაშვილმა, დოცენტმა შ. ჯაფარიძემ და საქართველოს სსრ დამსახურებულმა ექიმმა ა. ჭუმბურიძემ ათობით კოლმეურნის ჯანმრთელობა შეამოწმეს. მათგან სამი კოლმეურნე ფიზიოთერაპიული მკურნალობისათვის ინსტიტუტის სტაციონარში გაგზავნეს. ოთხ კოლმეურნეს უფასოდ მიეცა წყალტუბოს საგზური.

ინსტიტუტს გათვალისწინებული აქვს მიმდინარე წლის პირველ კვარტალში დაამთავროს რუისპირელ კოლმეურნეთა სრული დისპანსერიზაცია. ფართოდ იქნება გამოყენებული კურორტოლოგიური მკურნალობა.

## უკანასკნელი ფოსტიდან

## როგორ „გამოეხმაურნენ“ გაზეთის კრიტიკულ შენიშვნას

ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელის“ გასული წლის 26 დეკემბრის ნომერში დაიბეჭდა წერილი „ალვკვეთოთ სახელმწიფოებრივი, საშტატო დისციპლინის დარღვევები“, რომელშიც გაკრიტიკებული იყო „გლავეტექსტილტორგის“ ქუთაისის სავაჭრო ბაზის ხელმძღვანელობა ადმინისტრაციულ-სამმართველო აპარატის ხელოვნურად გაბერვისა და სხვა დამახინჯებებისათვის.

„აღნიშნულ ბაზაში, — წერდა გაზეთი, — შტატით უნდა მუშაობდეს 11 ბუღალტერი, ფაქტიურად მუშაობს 14. ნაცვლად შტატით დამტკიცებული 2 ეკონომისტისა, მუშაობს სამი, ნაცვლად ერთი საქმეთა მმართველისა — 2“. ბაზაში ერთ-ერთი წამყვანი საშტატო ერთეულია საქონლის მიმღები, რომელიც უშუალოდ საწყობში უნდა მუშაობდეს. სწორედ ოთხი მიმღების ხარჯზე გაზარდეს ბუღალტრებისა და საქმეთა მმართველის შტატი, ხოლო ეკონომისტად ამუშავებენ მუშაკს, რომელიც წუნდებულად არის გათორმებული.

წერილში ბაზის მუშაობის სხვა ნაკლოვანებებზეც იყო ლაპარაკი. ბაზის შტატის დაკომპლექტების დროს საქმიო როლს თამაშობდა შინაურულობა და ნაცნობობა. მაგალითად, ბაზის მმართველის მოადგილის ს. გვეტაძის წინადადებით უსაფუძვლოდ იქნა განთავისუფლებული ტრიკოტაჟის საწყობის გამგე ს. თავდიდიშვილი და მის ადგილზე დაინიშნა ბაზის უფროსი ბუღალტრის მ. ციცაშვილის ცოლისძმა ი. ხანანაშვილი. გაზეთი აკრიტიკებდა ბაზის პარტბიუროსაც, რომელიც გვერდს უვლის არსებულ დამახინჯებებს.

როგორ გამოეხმაურნენ საქალაქო გაზეთის კრიტიკულ შენიშვნებს ბაზის ხელმძღვანელები? იმის ნაცვლად, რომ მიეღოთ სამართლიანი კრიტიკა, ბაზის მესვეურებმა გაილაშქრეს რედაქციის მუშაკების წინააღმდეგ. ბაზის დირექტორმა შ. ხაჭაპურიძემ ერთ-ერთ პარტიულ კრებაზე ისიც კი განაცხადა, რომ რედაქციის მუშაკები დაისჯებიან ჩვენი გაკრიტიკებისათვის.

ორ თვეზე მეტი გავიდა, რაც აღნიშნული წერილი გაზეთში დაიბეჭდა, მაგრამ საქმეს გამოსწორება არ ეტყობა, დამახინჯებები ბაზაში კვლავ გრძელდება. ამას წინათ გამოირკვა, რომ „გლავტექსტილტორგის“ ბაზაში ნაცვლად შტატით გათვალისწინებული ორი ეკონომისტისა მუშაობს ოთხი. ორი თანამშრომელი — სანებლიძე და ჭანტურიშვილი საშტატო ერთეულით მტვირთავ მუშებად ირიცხებიან, ფაქტიურად კი დაცვის მუშაკების მოვალეობას ასრულებენ.

ვფიქრობთ, პარტიის ქუთაისის საქალაქო კომიტეტი მიიღებს ზომებს „გლავტექსტილტორგის“ ბაზაში წესრიგის დასამყარებლად და სათანადოს მიუზღავს იმათ, ვინც პატივს არ სცემს კრიტიკას.

# პარტიის წევრობის კანდიდატები

სკკპ წესდება, რომელიც პარტიის XIX ყრილობამ მიიღო, პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს ავალებს გააძლიერონ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობა. წესდებაში განსაზღვრულია საკანდიდატო სტაჟის გავლის ვადა, რითაც კიდევ უფრო გაიზარდა პარტიული ორგანიზაციების პასუხისმგებლობა ახალგაზრდა კომუნისტების აღზრდის საქმეში.

მიუხედავად ამისა, ზოგიერთი პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს შეცდომით მიაჩნია, რომ მას შემდეგ, რაც პარტიის წევრობის კანდიდატმა საკანდიდატო ბარათი მიიღო, საჭირო აღარ არის მასთან შემდგომი მუშაობა, რომ იგი დაუხმარებლად შეძლებს მოემზადოს პარტიის წევრად მიღებისათვის. მაგრამ ეს ასე როდია.

იმისათვის, რომ პარტიის წევრობის კანდიდატმა სკკპ წევრად მიღებისათვის მომზადება შეძლოს, საჭიროა პირველადმა პარტიულმა ორგანიზაციამ უზრუნველყოს მისი პარტიულ და საზოგადოებრივ მუშაობაში ჩაბმა, მისცეს შესაფერი პარტიული დავალება, მონაწილეობა მიაღებინოს პარტიული კრებებისათვის საკითხის მომზადებაში, დაეხმაროს მას გამოვიდეს კრებაზე და აქტიურად იმსჯელოს დღის წესრიგში მდგომი საკითხის გარშემო.

სწორედ იქ, სადაც ასე არ მუშაობენ ახალგაზრდა კომუნისტებთან, განსაკუთრებით დიდია სტაჟგადაცილებულ კანდიდატთა რაოდენობა. მაგალითად, ტაქსებით მომსახურების ავტოსატრანსპორტო კანტორაში პარტიის წევრობის 7 კანდიდატიდან სტაჟგადაცილებულია 6. ხოლო არტელ „ტრანსპორტნიკის“, ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორის, 61-ე საშუალო სკოლის და „კომუნისტის“ პოლიგრაფიული კომბინატის პარტიულ ორგანიზაციებში არიან პარტიის წევრობის კანდიდატები, რომლებსაც 3-დან 12 წლამდე სტაჟი აქვთ. ასეთი შეუწყნარებელი მდგომარეობა იმით არის გამოწვეული, რომ აღნიშნულ პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის წევრობის კანდიდატებს მიცემული არა აქვთ საზოგადოებრივი დავალებები, ახალგაზრდა კომუნისტები არ მონაწილეობენ პარტიულ კრებებსა და პარტბიუროს სხდომებზე განსახილველი საკითხების მომზადებაში. ამ პარტიული ორგანიზაციების მდივნები და პარტბიუროები სათანადო პრაქტიკულ ღონისძიებებს არ ახორციელებენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის გასაუმჯობესებლად. პარტიის წევრობის სტაჟგადაცილებულ კანდიდატებს გ. შაორშაძეს, რ. ხაჩიკონიანს, ა. ნადირაშვილს, ა. ბიბილაშვილს (ტაქსებით მომსახურების ავტოსატრანსპორტო კანტორა), შ. ლაშაურს, ა. ფედოტკინს (ორჯონიკიძის რაიონის სარემონტო კანტორა), ა. ხაჩატუროვს, ა. ბრიჟანოვს (არტელი „ტრანსპორტნიკი“), მ. სურგულაძეს, ა. უდალოვას (ვ. ი. ლენინის სახელობის თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტი) აქამდე არა აქვთ მიცემული პარტიული დავალებები. ისინი არავითარ მონაწილეობას არ იღებენ პარტიულ-პოლიტიკურ და ორგანიზაციულ მუშაობაში. ბევრი მათგანი არ ესწრება პარტიულ კრებას, მაგრამ აღნიშნული პარტიული ორგანიზაციების მდივნები ამას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის წესდებით საკანდიდატო სტაჟის ვადა განსაზღვრულია ერთი წლით. ამ ვადის გასვლის შემდეგ პარტიული ორგანიზაცია მოვალეა პარტიულ კრებაზე განიხილოს პარტიის წევრობის კანდიდატის საკითხი. თუ პარტიის წევრობის კანდიდატმა ვერ შეძლო საკმაოდ გამოეჩინა თავი იმ მიზეზებით, რომლებსაც პარტორგანიზაცია საპატიოდ მიიჩნევს, პირველადს პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია გაუგრძელოს მას საკანდიდატო სტაჟი ვადით არა უმეტეს ერთი წლისა. იმ შემთხვევებში კი, როცა საკანდიდატო სტაჟის გავლის მანძილზე გამოირკვა, რომ პარტიის წევრობის კანდიდატი თავისი პირადი თვისებებით ღირსი არ არის მიღებულ იქნას პარტიის წევრად, პარტიული ორგანიზაცია გამოიტანს გადაწყვეტილებას პარტიის კანდიდატობიდან მისი გარიცხვის შესახებ.

სამწუხაროდ, მთელი რიგი პირველადი პარტიული ორგანიზაციების მდივნები და პარტბიუროები რატომღაც გვერდს უვლიან სკკპ წესდების ამ მოთხოვნას და პარტიული კრების მსჯელობის საგნად არ ხდიან პარტიის წევრობის იმ კანდიდატის საკითხს, რომელსაც საკანდიდატო სტაჟით გათვალისწინებული ვადა გაუვიდა. საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომში პარტიულ აღრიცხვაზე მყოფ პარტიის წევრობის 386 კანდიდატიდან საკანდიდატო სტაჟი გასული აქვს 202-ს, მაგრამ ამათგან საკანდიდატო სტაჟი გაგრძელებული აქვს მხოლოდ 26 კანდიდატს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პარტიის წევრობის ამ 26 კანდიდატიდან 19-ს მეორედ გაუვიდა საკანდიდატო სტაჟი.

საკითხავია, რამ შეუშალა ხელი არტელ „ტრანსპორტნიკის“ პირველადი პარტიული ორგანიზაციის მდივანს ამხ. ვ. სეფერთელაძეს იმაში, რომ პარტიულ კრებაზე განეხილა ამხ. ა. ხაჩატუროვის საკითხი, რომელიც 1942 წლიდან არის პარტიის წევრობის კანდიდატი. ამხ. ხაჩატუროვი იშვიათად ესწრება პარტიულ კრებებს, არარეგულარულად იხდის საწევრო შესატანს. ამასთან ერთად სახელმწიფო ქონების მითვისებისათვის მას მისჯილი ჰქონდა სამი წლით თავისუფლების აღკვეთა.

პირველადი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის პრაქტიკაში ხშირად გვხვდება ფაქტები, როდესაც ყურადღებას არ აქცევენ ახალგაზრდა კომუნისტებთან იდეურ-პოლიტიკურ მუშაობას, არ აბამენ მათ პოლიტიკურ სწავლებაში. ხშირად ისიც ხდება, რომ პარტიის წევრობის კანდიდატს ფორმალურად აბამენ პარტიული სწავლების რომელიმე ფორმაში, მაგრამ შემდეგ არავითარ კონტროლს არ უწევენ მას, რის გამო ახალგაზრდა კომუნისტი კარგავს ინტერესს პოლიტიკური განათლებისადმი.

ორჯონიკიძის რაიონის საბინაო სამმართველოს, ამავე რაიონის სარემონტო კანტორის, ტრესტ „საქნავთის“ სახლმმართველობის და 61-ე საშუალო სკოლის პარტიულ ორგანიზაციებში არიან პარტიის წევრობის სტაჟგადაცილებული კანდიდატები ვ. ღვალი, ნ. ჭკუასელი და ც. ნანუკაშვილი. თუ ამ პარტიული ორგანიზაციების მდივნებს დავუჯერებთ, ისინი ვითომც დამოუკიდებლად მუშაობენ თავიანთი იდეურ-პოლიტიკური დონის ამაღლებისათვის. მაგრამ აი უკვე ხუთი თვეა, რაც პარტიული განათლების სისტემაში სწავლა დაიწყო, პარტიის წევრობის დასახელებულ კანდიდატებს კი აქამდე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა არცერთი ნაშრომი არ წაუკითხავთ.

პარტიის წევრობის კანდიდატებმა საკანდიდატო სტაჟის გავლის პერიოდში ბეჯითად უნდა შეისწავლონ სკკპ წესდება და პროგრამა. ამ მიზნით პარტიულმა ორგანიზაციებმა მათთვის ხშირად უნდა მოაწყონ საუბრები პარტიის პროგრამისა და წესდების საკითხებზე. პირველადი პარტიული ორგანიზაციები მოწოდებული არიან ყოველდღიურად იზრუნონ იმისათვის, რომ პარტიის წევრობის ყველა კანდიდატი ზუსტად ასრულებდეს საწესდებო მოთხოვნებს.

არის შემთხვევები, როდესაც პარტიული ორგანიზაციები გულისხმიერად არ ეკიდებიან პარტიაში შემსვლელთა განცხადებების დროულად განხილვას და მისაღები მასალების რაიონულ კომიტეტში დაუგვიანებლად გაგზავნას. ორჯონიკიძის რაიონში სტაჟგადაცილებულ კანდიდატთა დიდი რაოდენობა იმითაც არის გამოწვეული, რომ პირველადი პარტიული ორგანიზაციები დაგვიანებით გზავნიან რაიკომში პარტიაში მისაღებთა საქმეებს. ამასთან ერთად არის იმის ფაქტებიც, როდესაც რაიონული კომიტეტი ზოგჯერ დაგვიანებით განიხილავს ამ საქმეებს. ამის გამო რაიკომის ბიუროს მიერ პარტიული ორგანიზაციის გადაწყვეტილების დამტკიცების შემდეგ დრო აღარ რჩება პარტიის წევრობის კანდიდატთან მუშაობისათვის. მე-9 მუსიკალური სკოლის პარტიულმა ორგანიზაციამ 1954 წლის 22 თებერვალს პარტიის წევრობის კანდიდატად მიიღო ამხ. ვ. სოკოლოვი, ხოლო ორჯონიკიძის რაიკომმა პირველადი ორგანიზაციის ეს დადგენილება 8 თვის შემდეგ დაამტკიცა. საკითხავია, როდისღა უნდა გასწიოს პარტიულმა ორგანიზაციამ მუშაობა ამხ. ვ. სოკოლოვთან მისი პარტიის წევრად მიღებისათვის.

მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ პარტიული ორგანიზაციები ჯერ კიდევ სუსტად მუშაობენ პარტიის წევრობის კანდიდატებთან, სათანადო ყურადღებას არ აქცევენ პრაქტიკულ მუშაობაში მათი პირადი თვისებების შემოწმებას. ამის გამო ზოგჯერ საკანდიდატო სტაჟი ფორმალობად იქცევა.

საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის ბიურომ ამას წინათ განიხილა სტალინის, კალინინის და ორჯონიკიძის რაიონების პარტიულ ორგანიზაციებში პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის საკითხი. ბიუროზე აღინიშნა სერიოზული ნაკლოვანებები პარტიის წევრობის კანდიდატებთან მუშაობის საქმეში, რაიონულ კომიტეტებს და პირველადს პარტიულ ორგანიზაციებს დაევალათ ამ ნაკლოვანებების სწრაფად გამოსწორება.

**ა. ჯავახიშვილი,**
საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის საორგანიზაციო განყოფილების ინსტრუქტორი.

ფელეტონი

# „მონადირეები“

დიდი ბაქიბუქით მოემზადნენ, მზეს ადგომა დაასწრეს, თოფ-იარაღი აისხეს და გამოვიდნენ...

მიდიოდნენ მონადირულად, თვალების ცეცებით, გულისფანცქალით. ხან ჩუმად, ხანაც ყიჟინით დასდევდნენ ნადირს და ასე აღმოჩნდნენ... ლაგოდეხის რაიონის სოფელ ფონის შუა გზაზე.

აქვე მოკლეს ეზოს ძაღლებისაგან დამფრთხალი დედაღორები.

როცა ღორებმა სამუდამოდ გამოთეთრებული თვალები ცას მიაშტერეს, ნადავლზე გულმშვიდად ჩამომსხდარმა „მონადირეებმა“ ნამდვილი მონადირული ექსტაზით გააბეს საუბარი.

— ამისთანა სულელი ღორი ჯერ არ მინახავს, თოფიანი კაცი დაინახა და თავს კი არ უშველა, შემოგვლრუტუნა კიდეც...

— მერე როგორ დავახალე. დაჭყივლებაც ვერ მოასწრო, ისე გავაფრთხოვინე სული.

— ახლა ჩემი იკითხე, შიგ გულში აქვს მოხვედრილი.

ლაპარაკისათვის აშლილ სადღეღელს მხოლოდ ის ანელებდა, რომ დახოცილი ღორებიდან არც ერთი არ ჰგავდა ლაგოდეხის ტყეების ბინადარ გარეულ ღორს.

საუბრით რომ იჯერეს გული, ვერ გატყვით, დააპირეს თუ არა ნადავლის გატყავება, ის კი დანამდვილებით ვიცით, რომ საკუთარი ტყავის გადარჩენაზე დასჭირდათ ფიქრი.

საიდანღაც შეკივლება გაისმა. ამას თან მოჰყვა კოლმეურნე ქალების ვიშვიში.

მოულოდნელ ხმაურზე შეკრთნენ „მონადირეები“ და ფეხზე წამოცვივდნენ.

— ღორები გაუწყვეტიათ მაგ უღმერთოებს, მაგათ! — გაჰკიოდა ქალი და კალთააკაპიწებული გამორბოდა.

ამ სურათის დანახვაზე დამხვდურები აიმრიზნენ და გაქცევასაც იკადრებდნენ, რომ ასე ადვილი ყოფილიყო ამხედრებულ ფონელებთან ფონს გასვლა.

— ვინ ოხრებია, ვინა! — ყვიროდნენ ისინი.

განრისხებულნი მისცვივდნენ და გაოცებული შედგნენ. „მონადირეები“ აღმოჩნდნენ კოლმეურნეობის თავმჯდომარე სერგო ქოზაევი და საწყობის გამგე სტეფანე პარასტაევი.

ქოზაევმა თვალები დააბრიალა, პარასტაევი აიქოჩრა, დახოცილი ღორების ირგვლივ გაკეთებულ წრეში გამოიჭრა და დაიწყო:

— ხომ გაგაფრთხილეთ, ღორებს ნათესებში ნუ გაუშვებთ-მეთქი. ახლა თქვენს თავს დააბრალეთ, რაც მოხდა.

— მერე ნათესებში კი არა, შარაზე დახოცეთ ღორები!

— დიახ შარაზე! — ურცხვად განაცხადა პარასტაევმა. — ზედ ეტყობოდათ, წუწკი ღორები იყვნენ, აბა რა უნდოდათ შარაზე, თუ ყანაში შესვლა არ ედოთ გუნებაში...

შემთხვევის ადგილზე მალე ვეტექიმი გაჩნდა. აქტი შეადგინა. ერთ-ერთი ღორის გაკვეთისას აღმოჩნდა, რომ „მონადირეებს“ ორმაგი ცოდვა ეკისრათ. დედაღორს შვიდი გოჭის სიცოცხლეც თან წაეღო. მეორემ კი ამ ქვეყნად ექვსი თოთო გოჭი დატოვა.

პარასტაევი არც ამ ამბავმა შეაკრთო. მან ასე იმართლა თავი:

— სულ ერთია ეგ სამგლეები დაიზადებოდნენ, დაიზრდებოდნენ და ყანებს გააოხრებდნენ.

დანა კბილს აღარ უხსნიდათ ღორების პატრონებს. ზარალმა სამ-სამი ათას მანეთს გადააჭარბა.

სხვა ამბავიც გამოირკვა. ამ „მონადირეებს“ სხვა დროსაც გაულაშქრიათ ღორებზე და ახლა უკვე მათ ანგარიშზე ექვსი ღორი ითვლებოდა მოკლული და დაჭრილი.

ცხადია, პატრონებმა უნდა გააძლიერონ ყურადღება და მოუარონ თავიანთ პირუტყვს. მტკიცედ უნდა იქნას დაცული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ნათესთა წანახედისათვის პასუხისმგებლობის შესახებ.

მაგრამ დადგენილებაში ნათქვამია, როცა პირუტყვი ან ფრინველი წაახდენს კოლმეურნეობის, საბჭოთა მეურნეობის და სხვა სახელმწიფო და საზოგადოებრივ მეურნეობათა ნათესებს ან დააზიანებს ნარგავებს, ამ შემთხვევაში უნდა დააკავონ პირუტყვი ან ფრინველი, სანამ მათი პატრონი აანაზღაურებდეს წანახედს.

როგორც ჩანს, დადგენილების ეს პუნქტი არ მოეწონათ პარასტაევსა და ქოზაევს. მათ სწორედ ამის გამო გამართეს კამათი.

— წადი და სდიე ახლა ღორს!

— დევნა რათ გინდა, „ცენტრალკის“ ტყვია და მისი ჯანი.

ასე „შემოქმედებითად“ განავითარეს მათ დადგენილება, პილატეს ცრემლით ყელი გაიხურეს და სოფელში მანამდე უცნობი „მონადირენი“ სასაპარეზოდ გაიჭრნენ.

ერთი წუთითაც არ მოჰგონებიათ თავიანთი ადრინდელი გრძელ-გრძელი სიტყვები იმის შესახებ, რომ კოლმეურნეთა საკუთარი პირუტყვის სულადობის გაზრდა ხელს უწყობს საზოგადოებრივი მეცხოველეობის საერთო აღმავლობას.

**გ. მარუაშვილი,**
**გ. ხეჩუაშვილი.**

„კომუნისტის“ სიგნალის შემდეგ

## ფართო მოხმარების მაღალხარისხოვანი საქონელი მოსახლეობას

„კომუნისტის“ 28 ნოემბრის ნომერში ამ სათაურით დაიბეჭდა წერილი, რომელშიც მხილებული იყო სარეწაო კოოპერაციის სისტემის არტელებში დაბალხარისხოვანი საქონლის გამოშვების ფაქტები.

საქართველოს სარეწაო საბჭოს გამგეობამ განიხილა აღნიშნული წერილი, სწორად ცნო მოყვანილი ფაქტები და დასახა ღონისძიებანი პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. დაბალხარისხოვანი საქონლის გამოშვებისათვის არტელ „მელითონის“ თავმჯდომარეს ამხ. ს. თარხანოვს მიეთითა.

არტელ „ელექტროლითონის“ გამგეობის თავმჯდომარეს ამხ. ე. პარტისპანიანს დაეკისრა უახლოეს დროში უზრუნველყოს ლითონის ნაკეთობებისაგან ფართო მოხმარების დანიშნულების საქონლის მოსპილენძების ხარისხის გაუმჯობესება.

## საქართველოს ხალხური ცეკვის ანსამბლის გასტროლები ლენინგრადში



სცენაზე გრიგალივით დაჰქრიან ხმალამოწვდილი ჭაბუკები. გეგონებათ ქართველი ჭაბუკების მთელი მამაცობა და სიჩაუქე ჩაქსოვილია მხედართა ამ მგზნებარე ცეკვაში, რომელსაც „მხედრული“ ეწოდება. მაყურებლები მქუხარე ტაშით აჯილდოებენ მოცეკვავეებს.

საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხური ცეკვის ანსამბლის (სამხატვრო ხელმძღვანელები — საქართველოს სსრ სახალხო არტისტები, სტალინური პრემიის ლაურეატები ნინო რამიშვილი და ილიკო სუხიშვილი) გამოსვლები თვალწარმტაცი, მიმზიდველი სანახაობაა, რომელიც გამოირჩევა მდიდარი შემოქმედებითი გაზრებით და დახვეწილი გემოვნებით. ფერადი, ლამაზი კოსტიუმები (მხატვარი — ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, სტალინური პრემიის ლაურეატი ს. ვირსალაძე), მოცეკვავეთა გრაცია და მოძრაობის ბუნებრივობა, ორი-სამი ზუსტი შტრიხით საოუთი გრძნობიერების და უაღრესი მომხიბლაობის შექმნა — ყოველივე ეს დიდ შთაბეჭდილებას ახდენს მაყურებლებზე.

1945 წელს ჩამოყალიბებული ამ ნიჭიერი, მზარდი ქორეოგრაფიული კოლექტივის ხალისიანი ხელოვნება კარგად არის ცნობილი არა მარტო ჩვენში, საბჭოთა კავშირში, არამედ საზღვარგარეთაც. ანსამბლი გამოდიოდა პოლონეთში, უნგრეთში, რუმინეთში, ბულგარეთში, ჩეხოსლოვაკიაში, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში. იყო გასტროლებზე ფინეთში, დანიაში, ავსტრიაში. ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მეოთხე მსოფლიო ფესტივალზე ბუქარესტში კოლექტივს მიენიჭა პირველი პრემია.

ლენინგრადში ეს ანსამბლი მეექვსეჯერ ჩამოვიდა. იგი გამოდიოდა სახელმწიფო ფილარმონიაში, სადაც გვიჩვენებდა თავის ახალ პროგრამას. პროგრამა შედგება კავკასიის ხალხთა თანამედროვე და ძველი ცეკვებისაგან. ნათელი ლირიზმით და გულწრფელობით არის აღსავსე ქორეოგრაფიული სუიტა „წყაროსთან“. მიმზიდველია დაუდეგარი, ტემპერამენტიანი ქართული ცეკვა „შეჯიბრება“. მოცეკვავეთა დიდ ნიჭს მოწმობს ქართული სპორტული ცეკვა „ფარიკაობა“, რომელსაც ასრულებენ რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვლადიმერ ყუფარაძე და ილიკო თაყაიშვილი. ბევრი იუმორი და ხალისია სახუმარო ცეკვაში „ლელო“, რომელიც ასახავს ქართულ ეროვნულ თამაშს. მხიარულებითა და სიხალისით გვაჯადოებს აზერბაიჯანული ცეკვა „ხამბის კრეფა“, რომელსაც ქალთა ჯგუფი ასრულებს. თითქოს ფრესკა გაცოცხლდაო, ისეა მოფიქრებული სამი ქალიშვილის ნარნარი და ელეგიური ცეკვა „სამაია“. მრავალფეროვანია ციკლის „ძველი თბილისის“ ქორეოგრაფიული ნომრები. მაყურებელი აქ ხედავს გამიჯნურებულ ახალგაზრდებს, რომლებიც ამაყი მზეთუნახავის აივნის ქვეშ ცეკვავენ. ამ მზეთუნახავის სახეს ბრწყინვალე ოსტატობით და განსაკუთრებული სინაზით ქმნის საქართველოს სსრ სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი ნინო რამიშვილი. ამ ლირიკულ ცეკვას ცვლის ახალგაზრდა ხელოსანთა მხიარული დროსტარების სურათი.

ლენინგრადში გასტროლების დამთავრების შემდეგ საქართველოს სს რესპუბლიკის ხალხური ცეკვის ანსამბლი ეწვევა ურალისა და ციმბირის დიდ სამრეწველო ცენტრებს, კონცერტებს გამართავს ყაზახეთის ყამირ მიწებზე მომუშავეთათვის.

**ვ. იუნოშევა,**
„კომუნისტის“ კორესპონდენტი.

• • •

**სურათზე:** საქართველოს სსრ ხალხური ცეკვის ანსამბლის გამოსვლა ლენინგრადში.
ფოტო ვ. ლოგინოვისა.

## ბ. კრაველიშვილის კამერული კონცერტები

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის თეატრის სოლისტი, რესპუბლიკის სახალხო არტისტი ბათუ კრაველიშვილი საოპერო მოღვაწეობასთან ერთად წარმატებით გამოდის აგრეთვე კამერული კონცერტებით.

კამერული მუსიკის დამოუკიდებელი კონცერტებით ბ. კრაველიშვილი გამოსულა როგორც თბილისში, ისე ჩვენი ქვეყნის სხვა ქალაქებში. პრესა საუცხოო შეფასებას აძლევს ქართველ მომღერალს.

ამას წინათ ბ. კრაველიშვილმა კონცერტები გამართა მოძმე აზერბაიჯანის სსრ დედაქალაქ ბაქოში. აი რას წერს რესპუბლიკურ გაზეთ „ბაკინსკი რაბოჩის“ ერთ-ერთ ნომერში უხუცესი მომღერალი, აზერბაიჯანის სსრ სახალხო არტისტი ვ. ნიკოლსკი:

„ოპერის მომღერალმა ბათუ კრაველიშვილმა გვიჩვენა კამერული სიმღერების დიდი ოსტატობა.

უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს შესანიშნავად შედგენილი პროგრამა, რომელშიც შედის რუსი და დასავლეთ ევროპის კლასიკოსების ნაწარმოებები, ქართველ კომპოზიტორთა რომანსები და ნეაპოლური სიმღერები. ყოველი ნაწარმოების შესრულებისას იგრძნობა ხასიათის ღრმა გაგება და ნაწარმოების სტილი. ბათუ კრაველიშვილი გამოირჩევა განსაკუთრებული მუსიკალობით და შესანიშნავად ფლობს თავის დიდ, ლამაზ ხმას.

საუკეთესო შთაბეჭდილება დატოვა მომღერლის მიერ შესრულებულმა რახმანინოვის რომანსებმა „ნაწყვეტი მიუსედან“ და „მასთან ვიყავი“, ჩაიკოვსკის „არ მოგწონვართ“, „ხმაურიან მეჯლისში“, დარგომიჟსკის „სევდამ შემიპყრო“. ნამდვილი ტრაგედიულობა იგრძნობოდა შუბერტის რომანსის „ორეულის“ შესრულებაში.

რომანსებთან ერთად ბ. კრაველიშვილმა შეასრულა სხვადასხვა სტილის არიები ოპერებიდან...“

ამჟამად ბ. კრაველიშვილი კამერული კონცერტებისათვის ამზადებს ახალ პროგრამას. იგი საგასტროლოდ მიწვეულია ლენინგრადსა და ტალინში, სადაც მონაწილეობას მიიღებს როგორც საოპერო სპექტაკლებში, ისე კამერულ კონცერტებში.

**გ. აბესაძე.**

## პროფესორ ბრუნო პონტეკორვოს პრეს-კონფერენცია საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისათვის

4 მარტს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიაში გაიმართა სტალინური პრემიის ლაურეატის პროფესორ ბრუნო პონტეკორვოს პრესკონფერენცია საბჭოთა და უცხოეთის პრესის წარმომადგენლებისათვის.

პრეს-კონფერენცია გახსნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმის მთავარმა სწავლულმა მდივანმა აკადემიკოსმა ა. ვ. ტოპჩიევმა. მან პრეს-კონფერენციის წარმომადგენლებს წარუდგინა პროფესორი ბ. პონტეკორვო.

— ბატონო ჟურნალისტებო, მეგობრებო, ამხანაგებო, — თქვა ბრუნო პონტეკორვომ, — მეცნიერებათა აკადემიამ მაცნობა, რომ ზოგიერთ თქვენგანს სურს მნახოს და მესაუბროს. მე ვფიქრობ, რომ აზრთა გულახდილი გაზიარება ყოველთვის სასარგებლოა. ამიტომ მე ძლიერ მოხარული ვარ შეგხვდეთ მეგობრული საუბრისათვის. თქვენ, რა თქმა უნდა, წაიკითხავდით განცხადებას, რომელიც მე გავაკეთე პრესისათვის, ამიტომ მოკლედ ვილაპარაკებ.

როგორც იცით, 1954 წლის დეკემბერში ატლანტიკის ბლოკმა მეტად სერიოზული გადაწყვეტილება მიიღო. ამ ბლოკის ქვეყნებმა გადაწყვიტეს მოემზადონ ატომური ომისათვის და მათ ატომური და წყალბადის იარაღი კანონიერ იარაღად მიაჩნიათ. მე საბჭოთა კავშირში უკვე ოთხი წელიწადი ვარ და შემეძლო დავრწმუნებულიყავი, რომ საბჭოთა ხალხი, მთელი საბჭოთა ხალხი, იბრძვის მშვიდობისათვის და საბჭოთა მთავრობა ყველა ღონისძიებას იღებს ომის თავიდან ასაცილებლად.

მე მსურს მივმართო ყველა პატიოსან ადამიანს და, განსაკუთრებით მეცნიერებს, ფიზიკოსებს, რომელთაგან ბევრს პირადად ვიცნობდი, რომლებთანაც მიმუშავნია და რომლებსაც პატივს ვცემ, დიდი გონების ადამიანებს, ვთხოვო მათ, რომ გამოარკვიონ თავიანთი პოზიციები.

დღეს განზე დგომა არ შეიძლება! კაპიტალისტური ქვეყნების რეაქციული ყვითელი პრესა ბევრ ადამიანს შეგნებას უხშობს. მაგრამ არის ისეთი რამეები, ამბობს პონტეკორვო, რომლებიც ბავშვებსაც კი უნდა ესმოდეთ. მაგალითად, როგორ შეიძლება გჯეროდეს, რომ საბჭოთა კავშირი თითქოს ემუქრება შეერთებულ შტატებს, რომელთა სამხედრო და საავიაციო ბაზები საბჭოთა კავშირის ახლოს მდებარეობენ. ხალხთა მისწრაფება მშვიდობისადმი დიდია, და ხალხები გაიმარჯვებენ.

აღნიშნა რა, რომ კაპიტალისტური ქვეყნების პრესაში მის შესახებ ვრცელდებოდა მრავალი ყოველგვარი ფანტასტიკური ცილისმწამებლური ჭორი, პონტეკორვომ ჟურნალისტებს მიმართა თხოვნით გადასცენ მის მშობლებსა და ნათესავებს საზღვარგარეთ მისი და მისი ოჯახის სალამი.

შემდეგ პროფესორმა პონტეკორვომ უპასუხა კორესპონდენტების ბევრ კითხვაზე.

ს. ჯონსონი (ამერიკის ასოშიეიტედ პრესის სააგენტო): შეგიძლიათ თუ არა გვითხრათ, სად ცხოვრობთ ამჟამად?

**პასუხი:** რა თქმა უნდა, შემიძლია. მე ბინა მაქვს მოსკოვში და აგარაკი მოსკოვის მიდამოებში.

იგივე კორესპონდენტი ეკითხება: მართალია თუ არა, რომ აქ თქვენთან არ არის თქვენი ცოლ-შვილი?

**პასუხი:** არა, მართალი არ არის. ჩემი ოჯახი ჩემთან არის.

ს. უილანდი (ინგლისის რეიტერის სააგენტო): შეგიძლიათ თუ არა გვითხრათ, რა ღონისძიებანი მიიღეთ, როცა გადაწყვიტეთ დაგეტოვებინათ ინგლისი?

**პასუხი:** მაშინ უცხოეთის პრესაში მრავალი ფანტასტიკური ვერსია დაიბეჭდა ამის გამო. თქვენ შეგიძლიათ ისარგებლოთ რომლითაც გნებავთ მათ შორის. ერთი რამ უდავოა: მე მთვარიდან როდი ჩამოვვარდნილვარ.

იტალიური გაზეთის „უნიტას“ კორესპონდენტი ჯ. ბოფა აღნიშნავს, რომ პროფესორ პონტეკორვოს განცხადებამ, ბუნებრივია, განსაკუთრებული გამოძახილი გამოიწვია მის სამშობლოში — იტალიელ ხალხში. კორესპონდენტი ეკითხება, ხომ არ ისურვებს პროფესორი პონტეკორვო გაზეთ „უნიტას“ მეშვეობით მიმართოს იტალიელ ხალხს.

**პასუხი:** მე ვიცი, რა ბევრ რაიმეს აკეთებს იტალიელი ხალხი, როგორ იბრძვის იგი მშვიდობისათვის. რეგულარულად უდიდესი კმაყოფილებით ვკითხულობ „უნიტას“. გადაეცით იტალიელ ხალხს სალამი და მოუწოდეთ მას კიდევ უფრო მტკიცედ და დაუცხრომლად იბრძოლოს ომის წინააღმდეგ, მშვიდობისათვის, ატომური იარაღის აკრძალვისათვის.

ს. უილანდი: საბჭოთა პრესაში გამოქვეყნებულ თქვენს განცხადებაში თქვენ ამბობთ, რომ საბჭოთა კავშირმა პირველმა გამოიყენა ატომის ენერგია მშვიდობიანი მიზნით. მაგრამ იქვე თქვენ ნათქვამი გაქვთ, რომ ომის შემდეგ სსრ კავშირი ჯერ კიდევ ჩამორჩებოდა ატომის ენერგიის დარგში. როგორი იყო თქვენი პირადი წვლილი საბჭოთა კავშირში ატომური ტექნიკის განვითარებაში?

**პასუხი:** ჩემი წვლილი ატომის ენერგიით მომუშავე პირველი ელექტროსადგურის შექმნაში ნულს უდრის. როგორც ჩემს განცხადებაში აღვნიშნე, მას შემდეგ, რაც მე საბჭოთა კავშირში ვიმყოფები, ვმუშაობდი და ვმუშაობ მაღალი ენერგიის ფიზიკაზე. რამდენიმე წლის წინათ მე მომიხდა მშვიდობიანი მიზნით გამოყენებული რეაქტორების გამოსხივებისაგან დაცვის ზოგიერთი პრობლემის განხილვა. მაგრამ პატიოსნად უნდა ითქვას, რომ ჩემი გამოცდილება ამ დარგში ბევრად ნაკლები აღმოჩნდა, ვიდრე საბჭოთა მეცნიერების გამოცდილება. თქვენ, რასაკვირველია, გესმით, რომ არსებობს დიდი განსხვავება ატომგულის რეაქტორსა, რომელიც თავის სითბოს მდინარეს გადასცემს, როგორც, მაგალითად, კანადაში, და ისეთ რეაქტორს შორის, რომელიც ამუშავებს მთელ ელექტროსადგურს.

ამერიკის გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტმა კ. დანიელმა იკითხა, როდის მიიღო პროფესორმა პონტეკორვომ სტალინური პრემია, რომელი ხარისხისა და რისთვის.

**პასუხი:** მე მივიღე მეორე ხარისხის სტალინური პრემია ახალგაზრდა საბჭოთა მეცნიერ სელივანოვთან ერთად 1954 წლის დამდეგს 1952 წელს დაწერილი შრომებისათვის მაღალი ენერგიის ფიზიკის დარგში.

გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის“ კორესპონდენტი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირში ჩამოსვლამდე პროფესორი პონტეკორვო იყო ბრიტანეთის ქვეშევრდომი. შეინარჩუნა თუ არა მან თავისი ქვეშევრდომობა? თუ არა, ხომ არ მიიღებს იგი საბჭოთა ქვეშევრდომობას?

პროფესორი პონტეკორვო პასუხად კორესპონდენტებს უჩვენებს საბჭოთა პასპორტს.

ს. ჯონსონი ეკითხება: შეუძლია თუ არა პროფესორს თქვას, რაზე მუშაობს იგი ახლა?

**პასუხი:** რასაკვირველია, რამდენადაც ეს შრომები იბეჭდება. როგორც უკვე ვთქვი, მე ვმუშაობ მაღალი ენერგიის ფიზიკის დარგში და, თუ ეს თქვენთვის გასაგები იქნება, მზად ვარ მოგცეთ უფრო დაწვრილებითი პასუხი.

კორესპონდენტი აცხადებს, რომ მას ეჭვება, რომ გაიგოს ასეთი ახსნა-განმარტება.

ს. უილანდი აძლევს კითხვას: თქვენ თქვით, რომ თქვენი მონაწილეობა საბჭოთა კავშირში აშენებული პირველი ატომური ელექტროსადგურის შექმნაში ნულს უდრის. შეგიძლიათ თუ არა გვითხრათ, რომ თქვენი შრომები, დაწყებული 1950 წლიდან, მიმართულია თუ მშვიდობიანი მიზნებისაკენ არა,. შესაძლოა, სამხედრო მიზნებისაკენ?

**პასუხი:** მას შემდეგ, რაც სსრ კავშირში ჩამოვედი, ყველა შესაძლებლობა მომეცა მემუშავნა ატომის ენერგიის მშვიდობიანი გამოყენების დარგში. მე ავირჩიე მაღალი ენერგიის ფიზიკის დარგი. მე შესაძლებლობა მომეცა ჩემი მუშაობისათვის მესარგებლნა გიგანტური სინქროციკლოტრონით.

ლონდონის გაზეთ „დეილი უორკერის“ კორესპონდენტი რ. პარკერი ეკითხება: მიაჩნია თუ არა პროფესორს, რომ ის შრომები, რომლებსაც იგი ახლა ასრულებს, უფრო მეტად არის მიმართული ადამიანთა კეთილდღეობისაკენ, ვიდრე ის საქმიანობა, რომელსაც იგი ინგლისში ეწეოდა? პროფესორს ბევრი მეგობარი ჰყავს ინგლისში. ხომ არა სურს მას წყალბადის ბომბის წარმოების დარგში ინგლისის მთავრობის უკანასკნელ გადაწყვეტილებათა მიხედვით, აგრეთვე იმ მუშაობის მიხედვით, რომელიც საბჭოთა კავშირში წარმოებს მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენებისათვის, რაიმე წერილი გაუგზავნოს თავის ინგლისელ მეგობრებს?

**პასუხი:** საბჭოთა კავშირში ატომის ენერგიის მშვიდობიანი მიზნით გამოყენებას პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ითქვას ამ საკითხისადმი დამოკიდებულებაზე კაპიტალისტურ ქვეყნებში. ჩემი მოწოდება მეცნიერთადმი, კერძოდ, ფიზიკოსებისადმი, უეჭველად მიმართული იყო აგრეთვე ინგლისელი ფიზიკოსებისადმიც. მე მეგობრობის გრძნობით ვარ გამსჭვალული და დიდ პატივს ვცემ ბევრ ინგლისელ ფიზიკოსს, კერძოდ იმ ლაბორატორიის დირექტორს, რომელშიც ვმუშაობდი, პროფესორ კოკროფტს. უნდა ვთქვა, როგორც უკვე აღვნიშნე ჩემს განცხადებაში, რომ ბევრი ამ მეცნიერთაგანი, დიდად ნიჭიერი ფიზიკოსები, პატიოსანი ადამიანები, სრულიად დააბრმავა ყვითელმა პრესამ. მხოლოდ ამით შეიძლება ავხსნათ ზოგჯერ აზრი, რომელიც მათ აქვთ საბჭოთა კავშირის შესახებ. ჩემს განცხადებაში მე მოვიყვანე ამის მაგალითი.

კ. ბროდნეი (ამერიკის იუნაიტედ პრესის სააგენტო): პრესაში გამოქვეყნებულ განცხადებაში პროფესორი მოუწოდებს ყველა მეცნიერ-ფიზიკოსს პროტესტი განაცხადონ ატომის ენერგიის სამხედრო გამოყენების წინააღმდეგ და აღნიშნავს, რომ სსრ კავშირში მთავარი ყურადღება ექცევა ატომის ენერგიის გამოყენებას მშვიდობიანი მიზნით. მუშაობს თუ არა საბჭოთა კავშირი ატომის ენერგიის სამხედრო გამოყენების დარგშიც?

**პასუხი:** თქვენ გავიწყდებათ, რომ საბჭოთა კავშირის მთავრობა მუდამ დაუცხრომელ კამპანიას ეწევა ატომური იარაღის აკრძალვისათვის, რაც არ შეიძლება ითქვას სხვა მთავრობებზე.

იგივე კორესპონდენტი ეკითხება: ის, რაც თქვენ გვიპასუხეთ, ცნობილია პრესიდან. მე მაინტერესებს, წარმოებს თუ არა სსრ კავშირში მუშაობა ატომის ენერგიის სამხედრო გამოყენების დარგში? ბატონმა მოლოტოვმა თქვა, რომ ასეთი მუშაობა წარმოებს.

**პასუხი:** პირადად მე არაფერი არ ვიცი სსრ კავშირში ატომის ენერგიის სამხედრო გამოყენებაზე. ის, რაც თქვენ გაინტერესებთ, შეგიძლიათ წაიკითხოთ ვ. მ. მოლოტოვის გამოსვლაში.

ფრანგული გაზეთის „ლუმანიტეს“ კორესპონდენტი პ. კურტადი ეკითხება: კონკრეტულად რის გაკეთება შეუძლიათ მთელი მსოფლიოს მეცნიერებს, რომ პასუხი გასცენ თქვენს მოწოდებაზე?

**პასუხი:** მე ვფიქრობ, რომ იმის მაგალითს, თუ რა პასუხის გაცემა შეუძლიათ მთელი მსოფლიოს მეცნიერებს ამ მოწოდებაზე, იძლევა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს თავმჯდომარის დიდი მეცნიერის ფრედერიკ ჟოლიო-კიურის მოღვაწეობა.

იპოვეთ თუ არა თქვენ რაიმე განსხვავება სსრ კავშირისა და ინგლისის მეატომე მეცნიერთა მეთოდებსა და ორიენტაციაში? აძლევს კითხვას ფრანს პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ა. შირე.

**პასუხი:** მე მიმაჩნია, რომ საბჭოთა მეცნიერება, საბჭოთა ფიზიკა პირველია მსოფლიოში.

**კ. ბროდნეი:** საგანგებო ვითარების ან საფრთხის შემთხვევაში, რომელიც შეიძლება დაემუქროს საბჭოთა კავშირს, დათანხმდებოდით თუ არა თქვენ, პროფესორო, მოწოდებაზე გემუშავნათ ატომის ენერგიის გამოყენების არა მარტო მშვიდობიან, არამედ სხვა მიმართულებითაც, თუ გთხოვდნენ გემუშავნათ ატომის ენერგიის არა მარტო მშვიდობიანი გამოყენების დარგში?

**პასუხი:** მე საბჭოთა მოქალაქე ვარ და მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად მზადა ვარ მთელი ჩემი ძალღონით და ყველა საშუალებით ვემსახურო ხალხს. მაგრამ მინდა მოვაგონო ბატონ ჟურნალისტს, რომ მთელი საბჭოთა ხალხი დღეს გამოდის მშვიდობის დასაცავად და მოითხოვს ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვას.

ვ. მაევსკი (გაზეთ „პრავდის“ კორესპონდენტი): თქვენს განცხადებასთან დაკავშირებით, პროფესორო, რომელიც ამ დღეებში გამოქვეყნდა, დასავლეთის პრესასა და რადიოში ამტკიცებდნენ, თითქოს ეს განცხადება თქვენ ნებაყოფლობით არ გაგიკეთებიათ. მე მინდა მოვისმინო თქვენი აზრი ამ საკითხზე.

**პასუხი:** ამგვარი განცხადებები პირდაპირ სისულელეა. მაგრამ ეს პირველი ასეთი განცხადებები როდია, რომლებსაც აკეთებს უცხოეთის პრესა.

დასასრულ პროფესორმა ბ. პონტეკორვომ იმედი გამოთქვა, რომ პრეს-კონფერენციის მონაწილენი ობიექტურად გადასცემენ პრესას მის შინაარსს. (საკდესი).

## ახალი ელექტროსადგური ბულგარეთში

სოფია, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ ბულგარეთში ამუშავდა ახალი ელექტროსადგური სტეფანე კირაჯიევის სახელობის ცელულოზის სახელმწიფო ქარხანასთან. სადგური მოკლე ვადაში აშენდა საბჭოთა სპეციალისტების მონაწილეობით. ეს ელექტროსადგური დენს იძლევა როგორც ცელულოზის ქარხნისათვის, ისე სახალხო მეურნეობის სხვა საჭიროებებისათვის.

თეატრი

## „სხივოსანი დილა“ — სომხური თეატრის ახალი დადგმა

თბილისის სახელმწიფო სომხურმა დრამატულმა თეატრმა მაყურებელს უჩვენა არამ სარქისიანის პიესა „სხივოსანი დილა“.

ეს ავტორის პირველი დრამატული ნაწარმოებია, რომელიც თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის სცენაზე იდგმება. პიესა მოიცავს 1912-1921 წლებს და გადმოგვცემს ქართველი და სომეხი მშრომელი ადამიანების თავდადებულ რევოლუციურ ბრძოლას ცარიზმის სულისშემხუთველი რეჟიმის წინააღმდეგ.

პიესაში ცენტრალური ადგილი უჭირავს ხელოსნის არუთინ დავთიანის რევოლუციურ ოჯახს. დავთიანის ბინაზე თავს იყრიან რევოლუციონერები, ეწყობა არალეგალური კრებები. არუთინ დავთიანის, მშრომელი ხალხის განთავისუფლებისათვის თავდადებული მებრძოლის, სახეს უპირისპირდება მსხვილი მოიჯარის დავით ჯანჯულაზოვის სახე. ორი ოჯახი — ორი სამყარო. ამ დაპირისპირებაშია მოცემული ბრძოლა ახალსა და ძველს შორის, ბრძოლა სამართლიანობასა და უსამართლობას შორის. ასეთია პიესის ძირითადი სიუჟეტური ხაზი.

პიესაში მკაფიოდ არის გამოხატული ხალხთა დიადი მეგობრობა.

აღსანიშნავია, რომ პიესას დადებით მხარეებთან ერთად ნაკლოვანებებიც ახასიათებს. რევოლუციონერ ლევონსა და ჯანჯულაზოვის ქალიშვილს არუსიაკას ერთმანეთი უყვართ. მათი სიყვარულის ამბავი პიესის ძირითად სიუჟეტურ ხაზთან ორგანულ კავშირში იმყოფება. მიუხედავად ამისა, არუსიაკასა და ლევონის სახეები სქემატური და მკრთალია. პიესაში სუსტად არის მოცემული კონფლიქტი ლევონსა და ჯანჯულაზოვს შორის მეოთხე სურათში. ავტორს შეეძლო უფრო მძაფრი დრამატული სცენის შექმნა. პიესა გაცილებით მოიგებდა, რომ ავტორს და რეჟისორს უკანასკნელი სურათი საფუძვლიანად დაემუშავებინათ. მეოთხე სურათი როგორც ტექსტის, ისე დადგმის მხრივ პიესის საერთო წარმატებას ხელს ვერ უწყობს.

პიესის დადგმა ეკუთვნის თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის მთავარ რეჟისორს, ხელოვნების დამსახურებულ მოღვაწეს ფ. ბეკიანს. რეჟისორი ცდილა პიესის იდეური მხარის, რევოლუციური მოძრაობის პათოსის ხაზგასმას, რისთვისაც ძირითადად მიუღწევია.

შემსრულებელთა შორის დამაჯერებელი თამაშით განსაკუთრებით გამოირჩევიან რესპუბლიკის სახალხო არტისტები არტ. ბეროიანი (არუთინა) და მარი ბეროიანი (ვარსენიკა). მათი ყოველი სიტყვა წვდება მაყურებლის გულს. ამ მსახიობების მიერ შექმნილი სახეები დაუვიწყარია. კარგია რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი დორი ამირბეგიანი ჯანჯულაზოვის როლში. მისი ჯანჯულაზოვი მძვინვარე და დაუნდობელი მტერია, მსახიობი დამაჯერებლად ხატავს ვერაგი ადამიანის სახეს. საინტერესოდ ასრულებენ თავიანთ როლებს საქართველოს სს რესპუბლიკის დამსახურებული არტისტი არტ. ლუსინიანი (ირაკლი), მსახიობები ა. ქაჯვორიანი (ვანო), რ. პაპოვიანი (მინას), ჰ. უმიკიანი (სურენ).

ბუნებრივი, გულწრფელი თამაშით მოწონებას იმსახურებენ მსახიობები ბ. ნერსესიანი (ლევონი), ე. სტეფანიანი (არუსიაკა). ამავე როლში კარგია ა. ღარაჯიანიც. დამაჯერებლად ასახიერებენ რესპუბლიკის სახალხო არტისტი ლ. ალავერდიანი ჟანდარმერიის უფროსს ვოლკოვს, რესპუბლიკის დამსახურებული არტისტები ვ. გალუსტიანი — ვაჭარ დანდუროვს, პაჭარე — ვაჭარ დედუკოვს; აღსანიშნავი არიან აგრეთვე მსახიობები პ. აკოფიანი, მ. მარუთიანი, ჰ. სიმონიანი. მიუხედავად პატარა როლებისა, ორიგინალური, ბუნებრივი თამაშით სპექტაკლის საერთო წარმატებას ხელს უწყობენ მსახიობები ა. ჟამკოჩიანი, ს. შეკოიანი, წ. ვრუირი, ა. მელიქიანი, ნ. თუმანიანი, ჰ. თათარიანი, ა. ქოჩარიანი, ა. ადელხანიანი, ა. პარონბეგიანი, ჟ. ჩოფიკიანი და სხვ.

„სხივოსანი დილის“ დადგმა სომხური დრამის თეატრის წარმატებას მოწმობს. ამას პირველ რიგში ცხადყოფს ის, რომ მაყურებელმა გულთბილად მიიღო ეს სპექტაკლი.

**სურენ ავჩიანი.**



**სურათზე:** სცენა თბილისის სახელმწიფო სომხური დრამატული თეატრის სპექტაკლიდან „სხივოსანი დილა“.

## ᲒᲐᲔᲠᲗᲘᲐᲜᲔᲑᲣᲚᲘ ᲔᲠᲔᲑᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲘᲖᲐᲪᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲘᲐᲠᲐᲚᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲛᲘᲡᲘᲘᲡ ᲥᲕᲔᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲡᲮᲓᲝᲛᲐ

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). აქ გამოქვეყნებული კომუნიკეს თანახმად, გუშინ კანადის წარმომადგენლის რობერტსონის თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მესამე სხდომა. სხდომაზე გრძელდებოდა მოლაპარაკება.

შემდეგი სხდომა გაიმართება დღეს.

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). დღეს ლანკასტერ-ჰაუზში საფრანგეთის წარმომადგენლის ჟიულ მოკის თავმჯდომარეობით გაიმართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტის მორიგი სხდომა.

ქვეკომიტეტის შემდეგი სხდომა დანიშნულია 8 მარტს.

## ᲐᲘᲙᲠᲫᲐᲚᲝᲡ ᲐᲢᲝᲛᲣᲠᲘ ᲓᲐ ᲬᲧᲐᲚᲑᲐᲓᲘᲡ ᲘᲐᲠᲐᲦᲘ

### ᲓᲘᲓᲘ ᲑᲠᲘᲢᲐᲜᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ დიდი ბრიტანეთის კომუნისტური პარტიის პოლიტიკურმა კომიტეტმა გამოაქვეყნა განცხადება, რომელშიც აღნიშნავს, რომ ინგლისის მთავრობის გადაწყვეტილება — აწარმოოს და გამოიყენოს წყალბადის ბომბი — მომაკვდინებელ საფრთხეს უქმნის ინგლისს.

„დასავლეთ გერმანიის შეიარაღების პოლიტიკასთან ერთად, — ნათქვამია განცხადებაში, — ეს გადაწყვეტილება წარმოადგენს ახალი მსოფლიო ომის გაჩაღებისა და ამ ომში ატომური და წყალბადის ბომბების გამოყენების პროგრამას. ფარისევლური თვალთმაქცობაა მტკიცება, თითქოს ეს გადაწყვეტილება წყალბადის ბომბის გამოყენების შესახებ მხოლოდ საშუალებაა საბჭოთა აგრესიის საფრთხის შესაკავებლად. საბჭოთა კავშირს არასოდეს არ ჩაუდენია აგრესია ინგლისის წინააღმდეგ და არასოდეს არ დამუქრებია ინგლისს. ინგლისსა და ჩერჩილს არაერთხელ ჩაუდენიათ აგრესია საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. პრეზიდენტმა ეიზენჰაუერმა იმავე დღეს, როცა ჩერჩილმა სიტყვა წარმოთქვა, აღიარა, რომ საბჭოთა კავშირს არა სურს ომი. საბჭოთა კავშირი ახლა მოითხოვს მოისპოს ატომური და წყალბადის იარაღის მთელი მარაგი, აიკრძალოს ეს იარაღი, დაწესდეს საერთაშორისო კონტროლი ამ აკრძალვის დაცვისადმი და შემცირდეს შეიარაღება“.

შემდეგ განცხადებაში ხაზგასმით აღნიშნულია, რომ ეს წინადადებები შეესაბამება ინგლისელი ხალხისა და მთელი კაცობრიობის ნამდვილ ინტერესებს.

„ლეიბორისტული პარტიის მემარჯვენე ხელმძღვანელობამ, — ნათქვამია ამ დოკუმენტში, — მხარი დაუჭირა მთავრობის დანაშაულებრივ პოლიტიკას მიუხედავად მუშათა მოძრაობის ფაქტიურად ყველა ორგანიზაციის, მათ შორის ბრიტანეთის ტრედ-უნიონთა კონგრესის გადაწყვეტილებისა, რომლებმაც გაილაშქრეს წყალბადის ბომბის გამოყენების წინააღმდეგ“.

კომპარტიის პოლიტიკური კომიტეტი დასასრულ მოუწოდებს გააჩაღონ ფართო საპროტესტო კამპანია მთავრობის პოლიტიკის წინააღმდეგ, იბრძოლონ ატომური და წყალბადის იარაღის აკრძალვისათვის, დასავლეთ გერმანიის შეიარაღების წინააღმდეგ და მთელი შეიარაღების დაუყოვნებლივ შემცირებისათვის საერთაშორისო შეთანხმების დადების გზით.

## „ᲒᲣᲐᲜᲛᲘᲜᲟᲘᲑᲐᲝ“ ᲩᲔᲠᲩᲘᲚᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲡᲕᲚᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პეკინი, 4 მარტი. (საკდესი). გაზეთი „გუანმინჟიბაო“ სტატიაში „ჩერჩილი საფრთხეში აგდებს ინგლისის ბედს“ აღნიშნავს, რომ იმ დროს, როცა მსოფლიოს ხალხები ერთსულოვნად მოითხოვენ ატომური იარაღის აკრძალვას და ატომური ომის საფრთხის თავიდან აცილებას, ხოლო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისიის ქვეკომიტეტი ლონდონში გამართულ სხდომებზე განიხილავს იმ საკითხებს, რომლებიც შეიარაღების შემცირებასა და ატომური იარაღის აკრძალვას შეეხება, ინგლისის პრემიერი ჩერჩილი ატომური ომისაკენ მოუწოდებს.

კომენტარს უკეთებს რა ჩერჩილის გამოსვლის იმ ნაწილს, სადაც იგი ლაპარაკობს მითიური „საბჭოთა საფრთხის“ შესახებ, გაზეთი აღნიშნავს, რომ ინგლისის ხელმძღვანელთა ცდები შენიღბონ მთავრობის გამალებული შეიარაღების პროგრამა, ამგვარი ჭორებით ვერ მოატყუებენ მსოფლიო საზოგადოებრიობას. ძნელი არ არის დავინახოთ, წერს გაზეთი, ვინ ემხრობა მშვიდობას და ვინ ემუქრება მშვიდობას. საბჭოთა კავშირმა უკვე წამოაყენა ნათელი წინადადება, რომელშიც მოუწოდებს მოისპოს ატომური და წყალბადის იარაღის მარაგი, შეიზღუდოს შეიარაღებული ძალები და სამხედრო ასიგნობანი, მხარს უჭერს განიარაღების მსოფლიო კონფერენციის მოწვევას ფართო საფუძველზე. პოლიტიკას, რომელიც ჩერჩილმა 1 მარტს გამოაცხადა თემთა პალატაში, შეუძლია გამოიწვიოს საერთაშორისო ვითარების კიდევ უფრო გაუარესება, სერიოზული საფრთხე შეუქმნას მშვიდობას. სავსებით ცხადია, წერს დასასრულ გაზეთი, რომ ასეთი პოლიტიკის განხორციელება ნიშნავს ინგლისის ბედის საფრთხეში ჩაგდებას.

## „ᲒᲣᲐᲜᲛᲘᲜᲟᲘᲑᲐᲝ“ ᲓᲐᲚᲔᲡᲘᲡ ᲚᲐᲝᲡᲨᲘ ᲧᲝᲤᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

პეკინი, 4 მარტი. (საკდესი). გაზეთ „გუანმინჟიბაოს“ მიმომხილველი წერს, რომ შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის დალესის ამასწინანდელმა ყოფნამ ლაოსში და მისმა მოლაპარაკებამ მეფის მთავრობის წარმომადგენლებთან გამოააშკარავა ამერიკის მმართველი წრეების აგრესიული გეგმები, რომელთა მიზანია ინდოჩინეთში საომარი მოქმედების განახლება.

როგორც უცხოეთის პრესის ცნობებიდან ჩანს, წერს შემდეგ ავტორი, მალე ჟენევის შეთანხმებათა საწინააღმდეგოდ ტაილანდის ტერიტორიაზე დაიწყება ლაოსის მეფის ჯარების წვრთნა ამერიკელი ოფიცრების ხელმძღვანელობით ეს ნაბიჯი გამოიწვევს ომის საფრთხეს არა მარტო ლაოსის ხალხისათვის, რომელიც იმის წინააღმდეგია, რომ მისი ქვეყანა ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო პლაცდარმად გადააქციონ, არამედ მთელი ინდოჩინეთის ხალხებისათვისაც.

ამერიკის შეერთებული შტატების მოქმედებამ, რაც მიმართულია ჟენევის შეთანხმებათა ჩაშლისაკენ და ლაოსის საშინაო საქმეებში ჩარევისაკენ, უკვე გამოიწვია პროტესტები ლაოსის ხალხის მხრივ. ჩინელი ხალხი მხარს უჭერს ლაოსის ხალხისა და მთელი ინდოჩინეთის ხალხების სამართლიან ბრძოლას. უეჭველია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო გეგმები ინდოჩინეთში ჩაიფუშება, რადგან აზიის ხალხები მოითხოვენ, რომ მათ მიენიჭოთ უფლება განაგონ თავიანთი საკუთარი ბედი. ინდოჩინეთის, აზიისა და მთელი მსოფლიოს ხალხები მოითხოვენ ჟენევის შეთანხმებათა ზუსტ და თანმიმდევრულ დაცვას.

განაგრძობენ რა „ძალის პოზიციის“ ყბადაღებულ პოლიტიკას, ამერიკელი და ინგლისელი მეატომეები ფიქრობენ დააშინონ მშვიდობისმოყვარე ხალხები, რათა მოახდინონ მათი დემორალიზაცია და თავს მოახვიონ თავიანთი ნება.

მაგრამ ისინი ვერავის ვერ დააშინებენ... და თუ იმპერიალისტები შეეცდებიან გააჩაღონ ატომური ომი, ეს გამოიწვევს არა „ცივილიზაციის დაღუპვას“, არამედ თვით მათ განადგურებას.

საბჭოთა კავშირი არავის არ ემუქრება, იგი მხოლოდ იძლევა გაფრთხილებას თავი დაანებონ ცეცხლთან თამაშს. ეს სახიფათო თამაშია. დარტყმას საპასუხო გამანადგურებელი დარტყმა მოჰყვება.

(გაზეთებიდან).



ნახ. ი. ქოქიაშვილისა.

[illegible]

## ᲘᲢᲐᲚᲘᲘᲡ ᲡᲔᲜᲐᲢᲨᲘ

რომი, 4 მარტი. (საკდესი). სენატის 3 მარტის სხდომაზე კამათში პარიზის შეთანხმებათა შესახებ მონაწილეობა მიიღო დამოუკიდებელმა მემარცხენე სენატორმა ტომაზო სმიტმა. მან ხაზგასმით აღნიშნა განზრახული დასავლეთ ევროპის კავშირის ანტიკონსტიტუციური და კანონსაწინააღმდეგო ხასიათი და თქვა: ამ კავშირის შექმნის შესახებ შეთანხმების რატიფიკაცია იმას ნიშნავს, რომ 50 წლით ხელი ავიღოთ ეროვნულ სუვერენიტეტსა და ეროვნულ დამოუკიდებლობაზე. სმიტმა მოაგონა სხდომას, რომ პარიზის შეთანხმებათა საფუძველზე უცხოეთის შეიარაღებულ ძალებს შეუძლიათ თავიანთი შეხედულებით განლაგდნენ იტალიის ტერიტორიაზე, ხოლო იტალიის სასამართლო ორგანოებს იმის უფლებაც კი არ ექნებათ, რომ გამოიტანონ გადაწყვეტილებანი იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებსაც უცხოელი სამხედრო მსახურნი ჩაიდენენ.

ქრისტიანი დემოკრატი რომანო სიცხადისა და ფაქტების საწინააღმდეგოდ ამტკიცებდა, რომ „არ არსებობს გერმანიის მილიტარიზმის აღორძინების რაიმე საფრთხე“. რომანო იტალიის მონაწილეობას გამალებულ შეიარაღებაში იმის დამოწმებით ამართლებდა, რომ „ნეიტრალიტეტის პოლიტიკა“ „ვერ უზრუნველყოფდა“ იტალიის უშიშროებას.

ასეთი „მოსაზრებანი“ მოიყვანა თავის სიტყვაში რესპუბლიკური პარტიის წევრმა სპალიჩიმაც.

შემდეგ სიტყვა წარმოთქვა იტალიის კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობის წევრმა სენატორმა რუჯერო გრიეკომ. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ შეუძლებელია მშვიდობის უზრუნველყოფა ერთმანეთისათვის დაპირისპირებული სამხედრო ბლოკების სისტემის საშუალებით. მშვიდობის უზრუნველყოფა შეიძლება მხოლოდ ყველა ქვეყანას შორის საერთო შეთანხმებით, რომელსაც საფუძვლად დაედება კონტროლს დაქვემდებარებული შემცირება შეიარაღებისა.

ნამდვილ ეროვნულ საგარეო პოლიტიკას, განაგრძო გრიეკომ, საფუძვლად უნდა ედოს თავისუფლების, ყველა ხალხის თვითგამორკვევისა და დამოუკიდებლობის უფლების პატივისცემა. ამ პრინციპზე უარი თქვეს იტალიის ახლანდელმა მმართველებმა, რომლებმაც კავშირი შეკრეს უფრო ძლიერ იმპერიალისტურ ქვეყნებთან, და მზად არიან შეასრულონ მათი დირექტივები, რომელთა მიზანია მშვიდობისმოყვარე ქვეყნების წინააღმდეგ აგრესიული ომის გაჩაღება.

სენატში გრძელდება კამათი პარიზის შეთანხმებათა შესახებ.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲘᲡ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

პარიზი, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ რესპუბლიკის საბჭოს სამრეწველო წარმოების კომისიამ განიხილა პარიზის შეთანხმებათა საკითხი და მიიღო საარის შესახებ საფრანგეთ-გერმანიის შეთანხმების რატიფიკაციის კანონპროექტის შესწორება.

შესწორება შეიცავს წინადადებას დაიდოს საფრანგეთ-საარის კონვენცია, რომელიც უზრუნველყოფს საფრანგეთის ინტერესებს საარში, ამავე დროს შესანახად გადაეცეს პარიზის შეთანხმებათა სარატიფიკაციო სიგელები.

ამრიგად, კომისია წინადადებას იძლევა პარიზის შეთანხმებათა ძალაში შესვლა — თუ მათი რატიფიკაციის კანონპროექტს მოიწონებენ — განპირობებულ იქნას საფრანგეთ-საარის კონვენციის დადებით.

## ᲔᲓᲣᲐᲠᲓ ᲔᲠᲘᲝ ᲒᲐᲓᲐᲓᲒᲐ ᲚᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲔᲠᲘᲡ ᲞᲝᲡᲢᲘᲓᲐᲜ

პარიზი, 5 მარტი. (საკდესი). ფრანს პრესის სააგენტო ლიონიდან იუწყება, რომ ედუარდ ერიო ქალაქ ლიონის მერის პოსტიდან გადადგა. ეს პოსტი მას ეკავა 1905 წლიდან.

## ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲤᲧᲕᲔ ᲯᲐᲠᲘᲡᲙᲐᲪᲔᲑᲛᲐ—ᲔᲕᲠᲝᲞᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲓᲐ ᲐᲤᲠᲘᲙᲔᲚᲔᲑᲛᲐ ᲐᲠ ᲛᲝᲘᲡᲣᲠᲕᲔᲡ ᲡᲐᲛᲨᲝᲑᲚᲝᲨᲘ ᲓᲐᲑᲠᲣᲜᲔᲑᲐ ᲕᲘᲔᲢᲜᲐᲛᲘᲓᲐᲜ

ხანოი, 4 მარტი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, ვიეტნამის სახალხო არმიის უმაღლესმა სარდლობამ ნება დართო 36 ევროპელ და აფრიკელ ჯარისკაცს, რომლებიც ვიეტნამის სახალხო არმიის მხარეზე გადავიდნენ უკანასკნელი საომარი მოქმედების დროს, დაბრუნებულიყვნენ სამშობლოში 1 მარტს საფრანგეთის კავშირის შეიარაღებული ძალების შუამავლობით.

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა და ვიეტნამელი ხალხის მხრივ კეთილმოსურნე ჰუმანური პოლიტიკის შთაბეჭდილებით ამ ჯგუფიდან შვიდმა ჯარისკაცმა უკანასკნელ წუთს გადაიფიქრა და გადაწყვიტა დარჩეს ვიეტნამის დემოკრატიულ რესპუბლიკაში.

## ᲙᲕᲚᲐᲕ ᲓᲐᲐᲠᲦᲕᲘᲔᲡ ᲨᲔᲗᲐᲜᲮᲛᲔᲑᲐ ᲚᲐᲝᲡᲨᲘ ᲡᲐᲝᲛᲐᲠᲘ ᲛᲝᲥᲛᲔᲓᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲬᲧᲕᲔᲢᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ხანოი, 5 მარტი. (საკდესი). როგორც ვიეტნამის საინფორმაციო სააგენტო იუწყება, 1 მარტს ამერიკული ნაღმსატყორცნებითა და ტყვიამფრქვევებით შეიარაღებული 100-ზე მეტი ბანდიტი თავს დაესხა პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალების რაზმს მუონგ-პონში, 40 კილომეტრზე სამ-ნეას სამხრეთ-დასავლეთით, იმ სექტორის ტერიტორიაზე, სადაც დროებით განლაგებული არიან პატეტ-ლაოს შეიარაღებული ძალები. შეიარაღებულმა ბანდიტებმა სროლა აუტეხეს მშვიდობიან მცხოვრებთ და ცეცხლი წაუკიდეს სოფელს. ეს თავდასხმა აღმაშფოთებელი დარღვევაა შეთანხმებისა ლაოსში საომარი მოქმედების შეწყვეტის შესახებ

## ᲑᲐᲦᲓᲐᲓᲨᲘ ᲘᲓᲔᲜᲘᲡ ᲒᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲔᲑᲘᲡ ᲒᲐᲛᲝ

### ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲡ ᲒᲐᲜᲖᲠᲐᲮᲣᲚᲘ ᲐᲥᲕᲡ ᲨᲔᲣᲔᲠᲗᲓᲔᲡ ᲗᲣᲠᲥᲔᲗ-ᲔᲠᲐᲧᲘᲡ ᲡᲐᲛᲮᲔᲓᲠᲝ ᲑᲚᲝᲙᲡ

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტო იუწყება, დღეს ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ანტონი იდენი ინდოეთში ორ დღეს ყოფნის შემდეგ ბაღდადს გაფრინდა.

სააგენტო აღნიშნავს, რომ გუშინ იდენმა სიტყვა წარმოთქვა ინდოეთის პარლამენტის ორივე პალატის დახურულ გაერთიანებულ სხდომაზე.

ნიუ-იორკი, 4 მარტი. (საკდესი). როგორც იუნაიტედ პრესის სააგენტოს კორესპონდენტი ლონდონიდან იუწყება, იქ ცნობილი გახდა, რომ ინგლისს „უახლოეს კვირეებში“ განზრახული აქვს შეუერთდეს ამას წინათ დადებულ თურქეთ-ერაყის სამხედრო კავშირს და ამრიგად გახდება ახლო აღმოსავლეთის ეგრეთწოდებული „ჩრდილოეთი თავდაცვითი იარუსის“ (აგრესიული ბლოკი, რომელსაც აკოწიწებენ ამერიკის შეერთებული შტატები და ინგლისი და რომელშიც უნდა შევიდნენ თურქეთი, ერაყი, ირანი და პაკისტანი. — რედ. შენიშვნა) წევრი.

ლონდონის პასუხისმგებელ წრეებში აცხადებენ, აღნიშნავს კორესპონდენტი, რომ თურქეთ-ერაყის პაქტისადმი ინგლისის შეერთების საკითხზე „უკვე წარმოებს“ მოლაპარაკება და რომ იდენი ამ საკითხს „ზოგადად“ განიხილავს ბაღდადში, სადაც მას დღეს მიელიან.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘ ᲮᲔᲚᲨᲘ ᲘᲒᲓᲔᲑᲔᲜ ᲚᲘᲑᲘᲐᲡ

პარიზი, 5 მარტი. (საკდესი). როგორც ყოველკვირეული გაზეთი „ტრიბიუნ დე ნასიონი“ იუწყება, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და საფრანგეთს შორის მწვავდება ბრძოლა დასაყრდენი ბაზებისათვის ჩრდილოეთ აფრიკაში. როგორც გაზეთი აღნიშნავს, ლიბიის მთავრობა ამერიკის შეერთებული შტატების ზეგავლენით ცდილობს, რომ საფრანგეთის ჯარები გაიყვანონ ფესანიდან, ამავე დროს თანხმდება, რომ ლიბიაში განალაგონ ამერიკისა და ინგლისის ჯარები. მოითხოვს რა საფრანგეთის ჯარების გაყვანას, განაგრძობს გაზეთი, ლიბიის მთავრობას სურს გაათავისუფლოს ადგილი ამერიკის ჯარისკაცებისათვის, რომლებისთვისაც აპირებენ სამი გამაგრებული ნავსადგურისა და ხუთი ძირდასაშვები მოედნის გადაცემას. ლიბიაში დამკვიდრების შემდეგ, წერს ყოველკვირეული გაზეთი, ამერიკის შეერთებულ შტატებს განზრახული აქვთ გააძლიერონ შეღწევა საფრანგეთის დასავლეთ და ეკვატორულ აფრიკაში.

## ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ „ᲓᲐᲮᲛᲐᲠᲔᲑᲐ“ ᲡᲘᲠᲘᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ბეირუთი, 3 მარტი. (საკდესი). დამასკოს გაზეთი „ას-სარჰა“ იუწყება, რომ ქალაქ ჰაურანის მცხოვრებლებმა, რომელთა შორის განაწილდა სირიისადმი ამერიკის შეერთებული შტატების „დახმარების“ ანგარიშში ამერიკის შეერთებული შტატებიდან მიღებული გაფუჭებული ლობიოს ამანათები, სირიის პრემიერ-მინისტრსა და ამერიკის საელჩოს დამასკოში გაუგზავნეს წერილი, რომელშიც აღნიშნულია, რომ „ქალაქ ჰაურანის მცხოვრებნი, რომელნიც ჩვეული არ არიან მოწყალების თხოვნას, კატეგორიულად აცხადებენ უარს ერთ მუჭა გაფუჭებულ ლობიოზე“.

წერილში აღნიშნულია, რომ უმჯობესი იქნება ამერიკის შეერთებულმა შტატებმა მდგომარეობა შეუმსუბუქონ თავიანთ უმუშევრებს, ვიდრე „იკვეხნიდნენ თავიანთ ქველმოქმედებას და სხვა ხალხებისადმი დახმარებას“.

## კამბოჯის მეფის ტახტიდან გადადგომის გამო

პარიზი, 4 მარტი. (საკდესი). ადგილობრივ პოლიტიკურ წრეებში ყურადღებას აქცევენ იმ ფაქტს, რომ კამბოჯის მეფის ნოროდომ სიანუკის ტახტიდან გადადგომა (ნოროდომ სიანუკი მოულოდნელად გადადგა ტახტიდან ამა წლის 2 მარტს. — რედ.) მოხდა 48 საათის გასვლისას მას შემდეგ, რაც იგი ესაუბრა ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანს დალესს ამ უკანასკნელის ამასწინანდელი მოგზაურობის დროს ინდოჩინეთში. როგორც უკვე ვიუწყებოდით, ამ საუბრის დროს განხილულ იქნა საკითხი კამბოჯისათვის ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო დახმარების გაწევის შესახებ.

გაზეთი „კომბა“ აღნიშნავს უშუალო კავშირს ნოროდომ სიანუკის ტახტიდან გადადგომასა და კამბოჯაში დალესის ვიზიტს შორის და აცხადებს, რომ კამბოჯის ყოფილი მეფე არ აღმოჩნდა საკმაოდ შესაფერისი ადამიანი „ამერიკის გეგმების შესასრულებლად“ ინდოჩინეთში.



თბილისი. ტრესტ „საქართველოს ჩაის“ მუშა-მოსამსახურეთა ახალი საცხოვრებელი სახლი ლენინის ქუჩაზე.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

## ᲠᲐᲛᲓᲔᲜᲘᲛᲔ ᲡᲢᲠᲘᲥᲝᲜᲘᲗ

⊙ ცხრა მილიონ ცალზე მეტ პოლიტიკურ, გეოგრაფიულ, ეკონომიურ და ფიზიკურ სასწავლო რუკას გამოუშვებს წელს თბილისის კარტოგრაფიული ფაბრიკა. პირველად დაიბეჭდება საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ეკონომიური რუკები რუსულ ენაზე.

⊙ რკინიგზის მუშაკთა პროფკავშირის ამიერკავკასიის საგზაო კომიტეტმა მოაწყო ვაგზლების, დეპოებისა და რკინიგზის სხვა საწარმოების რესტორნების, სასადილოებისა და ბუფეტების კულინართა და კონდიტერთა თათბირი, რომელზეც განხილულ იქნა საზოგადოებრივი კვების ნოვატორთა დადებითი გამოცდილება.

⊙ მოსახლეობის უკეთ მომსახურების მიზნით თბილისის ავტომატური სატელეფონო სადგურის დირექციამ ლენინის მოედანზე, რუსთაველისა და პლეხანოვის პროსპექტებზე, ვაგზლის მოედანზე მოაწყო ლამაზად გაფორმებული მთლიანლითონის მინებიანი კაბინები ავტომატური ტელეფონებისათვის. წელს გათვალისწინებულია კიდევ 10 ასეთი კაბინის მოწყობა.

⊙ გრიშაშვილის ქუჩისა და აბანოს ქუჩის კუთხეში გაიხსნა ახალი საპარიკმახერო, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე კეთილმოწყობილია ქალაქში. მას აქვს მოსაცდელი დარბაზი, ქალთა სალონი, მამაკაცთა და ბავშვთა განყოფილებები.

## ᲐᲛᲘᲜᲓᲘ

თბილისის ამინდის ბიუროს ცნობით 7 და 8 მარტს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, დროგამოშვებით ნალექი, აღმოსავლეთის ზომიერი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 0-5, დღისით 7-12 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 4 გრადუსი ყინვა — 1 გრადუსი სითბო, დღისით 2-7 გრადუსი სითბო.

აღმოსავლეთ საქართველოში ცვალებადი მოღრუბლულობა, მთიან რაიონებში მცირე ნალექი, სუსტი ქარი. ტემპერატურა დაბლობ რაიონებში ღამით 3 გრადუსი ყინვა — 2 გრადუსი სითბო, დღისით 6-11 გრადუსი სითბო; მთიან რაიონებში ღამით 2-7 გრადუსი ყინვა, დღისით 1 გრადუსი ყინვა — 4 გრადუსი სითბო.

## ᲚᲔᲥᲪᲘᲐ

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოება 1955 წლის 7 მარტს საღამოს 8 საათზე საბჭოთა კავშირის კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის ინსტიტუტის საქართველოს ფილიალის სააქტო დარბაზში (რუსთაველის, № 29) აწყობს საზოგადოების ნამდვილი წევრის ქ. ოტიაშვილის საჯარო ლექციას თემაზე: „მსოფლიოს ქალთა ბრძოლა მშვიდობისათვის“.

ბილეთების წინასწარ შეძენა შეიძლება საზოგადოების რწმუნებულებთან (ჯაფარიძის ქ. № 4) და ლექციის დღეს სალაროში.

კოლექტიური განცხადებები მიიღება ტელეფონით: 3-12-93 და 3-00-77.

### ᲓᲦᲔᲡ
### ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘᲡ ᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

**ოპერისა და ბალეტის** — გორდა (დილას), რიგოლეტო (საღამოს), **რუსთაველის სახელობის** — დღესასწაული საკრეულაში (დილას), ახალგაზრდა მასწავლებელი (საღამოს), **მარჯანიშვილის სახელობის** — კაცია ადამიანი?! (დილას), ლეგენდა სიყვარულზე (საღამოს), **გრიბოედოვის სახელობის** — მოგზაურობის წლები (დილას), პროკურორის ქალიშვილი (საღამოს), **სომხური დრამის**—დაქცეული ოჯახი (დილას), საცოდავი მინდორი (საღამოს), **მუსიკალური კომედიის** — ორი რეკორდი (დილას), არშინ მალ-ალან (საღამოს), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — ანდრო ოცნება (აბონემენტი № 45, 12 ს.), გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 38, 6 ს.), **მოზარდ მაყურებელთა რუსული** — მისი მეგობრები (11 ს.), ბედნიერ ქუჩაზე (8 ს.), **თოჯინების ქართული** — ბარიი (11 ს.), პოტაპიჩი (2 ს.).

### ᲙᲘᲜᲝᲗᲔᲐᲢᲠᲔᲑᲨᲘ

რუსთაველის სახელობის, ამირანი, ოქტომბერი, იხანი — შიშის საფასური, სპარტაკი, 26 კომისრის სახელობის, კომკავშირელი, კოლხიდა, ვორონცოვისა და [illegible]

## ᲡᲞᲝᲠᲢᲣᲚᲘ ᲐᲛᲑᲔᲑᲘ

### ᲛᲡᲝᲤᲚᲘᲝ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲨᲐᲘᲑᲘᲐᲜ ᲰᲝᲙᲔᲘᲨᲘ

კრეფელდი, 5 მარტი. (საკდესი). საერთაშორისო შეჯიბრება მსოფლიო პირველობაზე შაიბიან ჰოკეიში დასასრულს უახლოვდება. გუშინ საბჭოთა კავშირის ნაკრებ გუნდს უკანასკნელი შვეიცარიის ჰოკეისტებთან შეხვედრა ჰქონდა. მან შვეიცარიის ჰოკეისტებს მოუგო ანგარიშით 7:2. ამრიგად, საბჭოთა კავშირის ნაკრები გუნდი [illegible] ინარჩუნებს შეჯიბრების ერთ-ერთი [illegible] ლიდერის მდგომარეობას. 14 შესაძლებელი ქულიდან მას 14 ქულა აქვს. ამდენივე ქულა აქვს კანადის გუნდს, რომელმაც გუშინ დასავლეთ გერმანიის ჰოკეისტებს მოუგო ანგარიშით 10:[illegible]. ამერიკის შეერთებული შტატებისა და პოლონეთის ჰოკეისტთა შეხვედრა დამთავრდა ანგარიშით 6:2 ამერიკის შეერთებული შტატების ჰოკეისტთა სასარგებლოდ.

### ᲡᲐᲛᲗᲝ ᲛᲝᲗᲮᲘᲚᲐᲛᲣᲠᲔᲗᲐ ᲡᲐᲔᲠᲗᲐᲨᲝᲠᲘᲡᲝ ᲨᲔᲯᲘᲑᲠᲔᲑᲐ ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲐᲨᲘ

ოსლო, 4 მარტი. (საკდესი). გუშინ ჰოლმენკოლენის მთაზე, ოსლოს ახლოს დამთავრდა სამთო მოთხილამურეთა საერთაშორისო შეჯიბრება.

ქალთა შორის სამი ვარჯიშის შედეგად (სლალომი, გიგანტური სლალომი და სწრაფდაშვება) საბჭოთა სპორტსმენმა ევგენია სიდოროვამ დაიკავა საერთო მეორე ადგილი. პირველ ადგილზე გამოვიდა ნორვეგიელი ვამენი. ვაჟთა შორის გაიმარჯვა ნორვეგიელმა მოთხილამურე შოსტადმა. მას მიჰყვება შვედი ნილსონი. საბჭოთა სპორტსმენმა ვ. ტალიანოვმა მე-7 ადგილი დაიკავა.

შეჯიბრების დამთავრების შემდეგ მოეწყო პრიზების გადაცემა. ევგენია სიდოროვამ მიიღო სამი პრიზი: გიგანტურ სლალომში პირველი ადგილის, სლალომში მეორე ადგილისა და სწრაფდაშვებაში — მეორე ადგილის დაკავებისათვის.

### ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲡᲐᲭᲐᲓᲠᲐᲙᲝ ᲩᲔᲛᲞᲘᲝᲜᲐᲢᲘ

4 მარტს გაიმართა საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატის მე-13 ტური.

ძლივიცკი-კოტოვის პარტია ყაიმით დამთავრდა. ფურმანმა 29-ე სვლაზე დამარცხა სპასკი. გროსმაისტერების ფლორისა და ბოტვინიკის შეხვედრა ყაიმით დამთავრდა. ტაიმანოვ-გელერის პარტია გადაიდო. სიმაგინმა მოუგო [illegible] სმისლოვ-ავერბახის, ბორისენკო-პეტროსიანის შეხვედრები ყაიმით დამთავრდა. [illegible] შჩერბაკოვის, ლისიცინ-ანტოშინისა და [illegible] მიკენასის პარტიები გადაიდო.

ავერბახ-სიმაგინის მე-12 ტურის პარტია ყაიმით დამთავრდა. (საკდესი).

### ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲝᲑᲐ ᲭᲐᲓᲠᲐᲙᲨᲘ

დღეს თბილისის ცენტრალურ საჭადრაკო კლუბში გაიხსნება საქართველოს 1955 წლის პირველობის გათამაშება ჭადრაკში. ჩემპიონატში მონაწილეობას მიიღებენ ჩვენი რესპუბლიკის უძლიერესი მოჭადრაკეები — ოსტატები, ოსტატობის კანდიდატები, პირველთანრიგოსნები. მათ შორის იქნებიან საერთაშორისო ოსტატი გოგლიძე, ოსტატი შიშოვი, ოსტატობის კანდიდატები ბუსლაევი, ქარსელაძე, გურგენიძე, გიორგაძე და სხვ.

შეჯიბრების მთავარი მსაჯია ოსტატობის კანდიდატი ფირცხალავა. რესპუბლიკური ჩემპიონატი ჭადრაკში 4 აპრილამდე გაგრძელდება.

## ᲥᲠᲝᲜᲘᲙᲐ

1949 წლის თებერვალში სსრ კავშირის სახელმწიფო უშიშროების ორგანოებმა სსრ კავშირში მყოფი ამერიკელი ჟურნალისტი ქალი ა. ლ. სტრონგი დააპატიმრეს როგორც საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ჯაშუშურ-ძირგამომთხრელ საქმიანობაში ეჭვმიტანილი და გააძევეს იგი საბჭოთა კავშირის ფარგლებიდან.

სსრ კავშირის პროკურატურის მიერ ჩატარებული შემოწმების შედეგად გამოირკვა, რომ სახელმწიფო უშიშროების სამინისტროს ყოფილმა ხელმძღვანელობამ (ბერია, აბაკუმოვი) უსაფუძვლოდ წარუდგინა ქ-ნ სტრონგს ზემოაღნიშნული ბრალდება. ამასთან დაკავშირებით ახლა მას მოეხსნა ეს ბრალდება.

რედაქტორი ნ. ჯაში.

მოქალაქე სერგო გაბრიელის-ძე აგაჯანოვმა, მცხოვრებმა თოფურიძის ქ. № 27, აღძრა საქმე ჩოდრიშვილის ქ. № 15 მცხოვრებ მოქალაქე თამარ ზაქარიას ასულ ინაშვილთან განქორწინების შესახებ. საქმეს განიხილავს თბილისის ლენინის რაიონის მე-4 უბნის სახალხო სასამართლო.

მეუღლე ოლღა, შვილები ვენერა, კაკო ოჯახით იუწყებიან
**სიმონ როსტიაშვილის**
გარდაცვალებას. პანაშვიდი 6, 7-III, 8 ს. გამოსვენება 8-III, 6 ს. ალაგირის [illegible] № 4.

შვილები ამბაკო, გოგი, პელო, ნინო ოჯახებით იუწყებიან
**ელუსი მახარობლის ასულ მელაძე-ბარბაქაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-III სოფელ მათხოჯში (წულუკიძის რაიონი).

შვილები სერგო, ალიოშა, ოლია, ვარდო იუწყებიან
**სალომე გიორგის ასულ ტურძელაძის**
გარდაცვალებას. დაკრძალვა 8-III სოფ. [illegible] კვაში (ამბროლაურის რაიონი).

შვილები ბარბალე, ელენე, დავით ოჯახებით იუწყებიან
**მარიამ იულონის ასულ ლოლაძე-** [illegible]

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3.63.03, 3.82.05, პასუხისმგებელი მდივნის — [illegible] მრეწველობისა და ტრანსპორტის, პრესის მიმოხილვის — 3.16.90, სოფლის მეურნეობის — 3.20.43, [illegible] და უცხოეთის ინფორმაციის — 3.80.83, წერილების — 3.73.24, განცხადებების მიღების—3.51.81, გამომშვების [illegible]

უე 00147

პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. № 14.